პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
21 ოქტომბერი
1939 წ.
№ 242 (5642)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივცეთ ქვეყანას მეტი მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი

ციტრუსების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილების შესასრულებლად, რომელიც მიღებულ იქნა ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით, საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ენერგიულ მუშაობას ეწევიან. ციტრუსოვანი მეურნეობა ჩვენში მძლავრ აღმავლობას განიცდის.

დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის ნაპირებზე, იქ, სადაც წინათ მხოლოდ გვიმრა ხარობდა, ამჟამად ჩაისა და ციტრუსების თვალწარმტაცი ბაღნარი ჰყვავის. ახლა ციტრუსოვანი კულტურები დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეთა შემოსავლიანობის ერთერთ მძლავრ წყაროდ გახდნენ.

მანდარინის სასაქონლო რესურსები ორდენოსან საქართველოში ყოველწლიურად იზრდება. ადგილებიდან მოდის სასიხარულო ცნობები ციტრუსოვანთა კარგი მოსავლის შესახებ. ნოემბრის პირველ რიცხვებში ციტრუსოვანთა (მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი) კრეფა გაჩაღდება. 1939 წლის მოსავლიდან ციტრუსოვანთა ნაყოფის სახელმწიფო დამზადების გეგმა განსაზღვრულია 460 მილიონი ცალის რაოდენობით. საქართველოს რესპუბლიკური გეგმიდან აჭარის ასს რესპუბლიკაში უნდა დამზადდეს 310 მილიონი ცალი მანდარინი, 4.170.000 ლიმონი, 6.815.000 ცალი ფორთოხალი.

დასავლეთ საქართველოს პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო და დამამზადებელი ორგანოები სერიოზულ გამოცდას აბარებენ ქვეყანას. ამოცანა ის არის, რომ სანიმუშოდ მოვემზადოთ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-დამზადებისათვის და მივცეთ მშრომელთა სუფრას მეტი მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი.

ჩვენს ხელთ არსებული მასალა მოწმობს, რომ დამამზადებელი ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ემზადებიან ციტრუსოვანთა დამზადებისათვის. ამ მხრივ დიდი ამოცანა ეკისრება საქკონსერვხილტრესტს, საქხილბოსტანს, აჭარის ასს რესპუბლიკის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, საქჩაისა და ლიმმანტრესტს და სხვ. საქკონსერვხილტრესტის ხაზით უნდა დამზადდეს 194.852.000 ცალი ნაყოფი. გარდა ამისა, ტრესტმა სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან გადასამუშავებლად უნდა მიიღოს 67 მილიონ ცალზე მეტი ნაყოფი. დამამზადებელი ორგანიზაციების ზოგიერთი მუშაკი ჯერ კიდევ არ არის გამსჭვალული მთელი პასუხისმგებლობის გრძნობით და არ ღებულობს ყველა საჭირო ზომას არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ზოგან საწყობების, მიმღები პუნქტებისა და შემფუთავი ქარხნების მშენებლობა ნელი ტემპებით მიმდინარეობს. მაგალითად, ბათუმის შემფუთავი ქარხნის პავილიონის მშენებლობა ფართოდ არ არის გაშლილი. დაგვის (აჭარა) პავილიონში მიმდინარე რემონტი არ დამთავრებულა. მსგავსი მდგომარეობაა ქობულეთის პავილიონშიც. სოხუმისა და გაგრის დამამზადებელი პუნქტების მშენებლობა შეუწყნარებლივ ჭიანურდება. დროა საქხილკონსერვტრესტმა და მისმა განყოფილებებმა ადგილებზე შექმნილი მდგომარეობიდან ყველა საჭირო დასკვნა გააკეთონ და გადამჭრელი ზომები მიიღონ ჩამორჩენის აღსაკვეთად. ეს იმ შემთხვევაში იქნება მიღწეული, თუ მშენებლობაზე ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, მოხერხებულად გამოიყენებენ ადგილობრივ რესურსებს და კონკრეტულ-ოპერატიულ ხელმძღვანელობას გაუწევენ ამ საქმეს.

ამთავითვე უნდა გაიშალოს მუშაობა ჩამბარებლებთან საკონტრაქტაციო ხელშეკრულების დასადებად. საქხილკონსერვტრესტმა და ცეკავშირმა ციტრუსოვანთა ნაყოფის კონტრაქტაცია 1 ნოემბრისათვის უნდა დაამთავრონ.

ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-დამზადებისათვის სანიმუშოდ მომზადება ნიშნავს, — უზრუნველვყოთ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი საკრეფი ჩანთებით, მაკრატლებით, დავამთავროთ მიმღები პუნქტების მოწყობა, უზრუნველვყოთ ისინი მუშა-ხელით, ტარით, შესაფუთი მასალით, სრულ წესრიგში მოვიყვანოთ ტრანსპორტი.

ამავე დროს ისე უნდა მოვემზადოთ, რომ არ დავუშვათ მანდარინის გადაგზავნის გაჭიანურება, რადგან ეს უარყოფითად მოქმედებს ხარისხზე. გამორკვეულია, რომ მანდარინის ნაყოფის დაზიანების ძირითადი მიზეზია მისი ხანგრძლივი გაჩერება მიმღებ პუნქტებში. დამამზადებელს მოეთხოვება არა მარტო ციტრუსოვანთა შეუფერხებლივ მიღება, არამედ პროდუქციის ხარისხზე ზრუნვაც. დამამზადებელი ორგანიზაციების ყველა მუშაკი უნდა განიმსჭვალოს ციტრუსოვანთა პროდუქციის ყოველმხრივ გაუმჯობესებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დამამზადებელი ორგანიზაციები კულტურულად მუშაობდნენ. საწყობის ან პუნქტის გამგე, რომელიც თავის მოვალეობას მხოლოდ მანდარინის მიღებით განსაზღვრავს და არ იღებს ზომებს მანდარინის ხარისხის დაცვისათვის, — ცუდი დამამზადებელია. ყოველივე ეს მტკიცედ უნდა იქნას გათვალისწინებული.

სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში უკეთესად უნდა უხელმძღვანელოს ციტრუსოვანთა ჩაბარებისათვის მზადების სამუშაოებს და დროულად მიიღოს ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა უშუალოდ თავიანთი ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა აიღონ ციტრუსოვანთა ნაყოფის კონტრაქტაციისა და დამზადების საქმე და უზრუნველყონ დამზადების გეგმების ყოველ მიზეზს გარეშე შესრულება. მათ უნდა შეამოწმონ დამამზადებელ-ტექნიკური ბაზის მზადყოფნა ციტრუსოვანთა მიღება-გადამუშავებისათვის და მიიღონ ყველა საჭირო ზომა შემფუთავი ქარხნებისა და მიმღები პუნქტების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

ყველა პირობა არსებობს 1939 წლის მოსავლიდან ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სახელმწიფო გეგმის მთლიანად შესრულებისათვის. სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაშლის საფუძველზე უნდა უზრუნველვყოთ ამ საბრძოლო დავალების სასახელოდ შესრულება.

ლატვიის სავაჭრო დელეგაცია საქართველოს პავილიონში

მოსკოვი, 18 ოქტომბერი (**ჩვენი საკ. კორ.**). საქართველოს პავილიონი ინახულა სრ.-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლად მოსულმა ლატვიის სავაჭრო დელეგაციამ დელეგაციის თავმჯდომარის ბ-ნ ბერზინშის, თავმჯდომარის მოადგილის კამპეს, დელეგაციის წევრების ტომსონსის, ზიბარტსის, სკუევიცის, კალნინშის და შენბერგსის შემადგენლობით. ლატვიელ სტუმრებს შეხვდა პავილიონის დირექტორის მოადგილე ამხ. ანთაძე. სტუმრებმა დაწვრილებით დაათვალიერეს მთელი პავილიონი და ორანჟერეა. პოლიტიკურ დარბაზში მათი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო გორის ისტორიული სახლის მაკეტმა. შთაბეჭდილებათა წიგნში ბ-ნმა ბერზინშმა ჩაწერა: „აღტაცებული ვარ ნახულით და გულწრფელ მადლობას გამოვთქვამ, რომ შესაძლებლობა მომეცა მენახა შრომის საუცხოო შედეგი“.

თურქეთის დელეგაციამ დაათვალიერა საქართველოს პავილიონი

მოსკოვი, 18 ოქტომბერი (**ჩვენი საკ. კორ.**). საღამოს 6 საათზე საქართველოს პავილიონი დაათვალიერა თურქეთის დელეგაციამ მიწათმოქმედების მინისტრის მუხლის ერკმენის მეთაურობით. სტუმრებს შეხვდნენ და ახსნა-განმარტებას აძლევდნენ პავილიონის მთავარი აგრონომი მჟავანაძე, ექსკურსიის ხელმძღვანელი, ტიმირიაზევის სახელობის აკადემიის სტუდენტი ოვანესიანი. სტუმრებმა პავილიონში დაჰყვეს 40 წუთი. ისინი იძლეოდნენ შეკითხვებს კოლხიდაზე, ციტრუსების, ეთეროვანი კულტურების, თამბაქოს, ყურძნის შესახებ.

დღეს გამოფენაზე მიღებულია გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური გამოშვება. მოკავშირე რესპუბლიკების პავილიონებში მან საყოველთაო მოწონება გამოიწვია. პრესის პავილიონში აღნიშნავენ შესრულების ბრწყინვალე ტექნიკას. გაზეთი დიდი სიხარულით შეხვდნენ საქართველოს პავილიონის მუშაკნი. ისინი მთელი დღის განმავლობაში ხელიდან არ უშვებენ ფერად ნომერს. გამოფენის სახსოვრად გაზეთი მიიღეს ტულის, ტამბოვის, ვორონეჟის, რიაზანის, კურსკის ოლქების კოლმეურნეთა დელეგაციებმა, რომლებმაც დღეს დაათვალიერეს საქართველოს პავილიონი.

წიგნი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის განკუთვნილი ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა წიგნი „სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა“ პ. ნ. პოსპელოვის, ა. ვ. გრიცენკოს და ნ. ვ. ციცინის რედაქციით.

მდიდრულად ილუსტრირებული წიგნი შეიცავს გამოფენის პავილიონების დაწვრილებით აღწერას. წიგნში მოთავსებულია კანონი სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის შესახებ, ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა გამოფენის გახსნაზე 1939 წლის 1 აგვისტოს, ნ. ვ. ციცინის სტატია გამოფენის შესახებ და სხვა მასალები.

წიგნის ტირაჟი 500.000 ეგზემპლარს უდრის. (საკდესი).

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

17 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა დაჯილდოებულთ გადასცა ორდენები და მედლები.

საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების სიგელებს და ლენინის ორდენებს იღებენ უფროსი ლეიტენანტი ამხ. ლ. ა. ორლოვი, კაპიტანი ამხ. ე. ნ. სტეფანოვი და მამასახლისი—პილოტი ამხ. ა. დ. იაკიმენკო, რომლებიც დაჯილდოებული არიან საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და აგრეთვე გმირობისათვის, რომელიც მათ ამ დავალების შესრულების დროს გამოიჩინეს.

ორდენები და მედლები გადაეცა წითელი არმიის იმ მეთაურთა ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და აგრეთვე გულადობისა და სიმამაცისათვის, რომელიც მათ ამ დავალებათა შესრულების დროს გამოიჩინეს. დაჯილდოებულთა შორის არიან საბჭოთა კავშირის გმირები: მაიორები—ამხ. ვ. ვ. ზვერევი, პ. ტ. კორობკოვი და პოლკოვნიკი ამხ. ა. ი. გუსევი, კაპიტანი ამხ. ბ. გ. ბოროდაი, კაპიტანი ამხ. ა. მ. სტეფანოვი და სხვები.

საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და გულადობისა და სიმამაცისათვის, რომელიც ხასანის ტბის რაიონის დაცვის დროს გამოიჩინეს, ჯილდოები მიიღეს უმცროსმა მეთაურებმა ამხ. ვ. ტ. გუშჩინმა, ს. პ. ლუკაშევიჩმა, წითელარმიელმა ამხ. ქ. უ. ვილესომა და სხვა ამხანაგებმა.

ორდენები და მედლები გადაეცა ტომსკის ამხ. მოლოტოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის მუშაკთა ჯგუფს, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ორგანიზატორებს, მშენებლებსა და გამფორმებლებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, და მთელ რიგ სამეურნეო მუშაკებს.

ამხ. მ. ი. კალინინმა ამხანაგებს მიულოცა ჯილდოების მიღება და უსურვა მათ ახალი წარმატებანი შემდგომ მუშაობაში (საკდესი).

კონკურსი საუკეთესო მეცნიერულ-შრომებზე მედიცინაში

საუკეთესო მეცნიერულ - კვლევითს შრომებზე სსრ კავშირის ჯანსახკომის მიერ გამოცხადებულმა სრულიად-საკავშირო კონკურსმა დიდი შემოქმედებითი აღტყინება გამოიწვია ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა შორის. კონკურსი ამ თვის დამლევს უნდა დამთავრებულიყო. იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტ მეცნიერ მუშაკს მიეცეს კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა, გადაწყდა კონკურსი განგრძობილ იქნას 1940 წლის 1 თებერვლამდე. სულ არის 23 საკონკურსო თემა. თვითეული თემისათვის დაწესებულია სამი პრემია: 15.000, 10.000 და 5.000 მანეთი (საკდესი).

მოსკოვი—კიევი—ლვოვი

გზათა სახალხო კომისარიატში შემუშავებულია გრაფიკი რეგულარული სამგზავრო მიმოსვლისა მარშრუტით კიევი-ლვოვი და მოსკოვი-კიევი-ლვოვი.

20 ოქტომბრიდან შემოღებული იქნება სამგზავრო მატარებელი კიევი-ლვოვი. № 5 ჩქარი მატარებლის შემადგენლობაში, რომელიც მოსკოვიდან კიევში მიდის, 20 ოქტომბრიდან იქნება ორი პირდაპირი ვაგონი მოსკოვი-ლვოვი. კიევში ამ ვაგონებს მიუბამენ კიევ-ლვოვის მატარებელს. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ნ. გ. პოზდნიაკოვი** დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ლიტვაში. (საკდესი).

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ შუქრუ სარაჯოღლუს დეპეშა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს

ამხ. ვ. მ. მოლოტოვს

ბ-ნ ვ. მოლოტოვს, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს

მოსკოვი.

იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის ტერიტორიას ვტოვებ, მინდა გამოგიცხადოთ ჩემი მხურვალე მადლობა გულთბილი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რაც ჩემდამი გამოიჩინეს საბჭოთა ხელმძღვანელებმა და ხელისუფლებამ. მეგობრული ყურადღების ნიშნები, რომლითაც მე ვსარგებლობდი, საბაბს მაძლევს, ერთხელ კიდევ აღვნიშნო ის გულითადობა და ურთიერთნდობა, რომლებიც ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებულ ტრადიციულ ურთიერთობას ახასიათებენ. საბჭოთა კავშირის დიდ მოღვაწეებთან შეხვედრების დროს მიღებული დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით აღფრთოვანებული, გთხოვთ ბ-ნო თავმჯდომარევ, ჩემი მადლობა გადასცეთ საბჭოთა მთავრობას და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ჩემს უცვლელ მეგობრობაში.

შუქრუ სარაჯოღლუ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის დეპეშა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ შუქრუ სარაჯოღლუს

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ

შუქრუ სარაჯოღლუს

ანკარა.

მადლობას გწირავთ თქვენი გულთბილი მისასალმებელი სიტყვებისა და თქვენს მიერ გამოთქმული გრძნობებისათვის.

მეც მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ აზრთა გაზიარებამ, რაც მოსკოვში ხდებოდა, კვლავ დაადასტურა საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო მინისტრო, თქვენდამი ჩემს მეგობრულ გრძნობებში.

მოლოტოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემა ნორვეგიის ელჩის მიერ

ა.-წ. 20 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო ნორვეგიის საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი, ბ-ნი ე. მასენგი, რომელმაც მას თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

საბჭოთა სამხედრო დელეგაცია რიგაში

რიგა, 19 ოქტომბერი (საკდესი). საბჭოთა სამხედრო დელეგაციამ, რომელსაც სათავეში უდგას ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმანი ამხ. ისაკოვი და კორპუსის მეთაური ამხ. ბოლდინი, დღეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობაში საპასუხო სადილი გამართა ლატვიის სამხედრო დელეგაციის პატივსაცემად.

სადილს დაესწრნენ ლატვიის არმიის სარდალი გენერალი ბერკისი, არმიის შტაბის უფროსი გენერალი როზენშტაინი, ლატვიის სამხედრო დელეგაციის თავმჯდომარე გენერალი ჰარტმანისი და დელეგაციის სხვა წევრები. სადილმა მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

დაიწყო წითელი არმიის ნაწილების დაბინავება

ტალინი, 20 ოქტომბერი (საკდესი). წითელი არმიის ნაწილების მოძრაობა მეგობრული ესტონეთის გზებზე მიმდინარეობს ზუსტად დასახული გრაფიკის მიხედვით, რომელიც შეთანხმებულია ესტონეთის სამხედრო სარდლობასთან. დღეს დილიდან დაიწყო წითელი არმიის მოსული ნაწილების დაბინავება დაწესებულ რაიონებში. ავტოკოლონების მოძრაობა ორგანიზებულად მიმდინარეობს. ესტონეთის სამხედრო სარდლობა და ესტონეთის ხელისუფალნი აქტიურად ეხმარებიან წითელი არმიის ნაწილების მოძრაობას. წითელი არმიის ნაწილები თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწევიან. გზაზე შესვენებისას მეომრები საუბრობენ მიმდინარე ამბებზე, ეცნობიან მეგობრულ ქვეყანას—ესტონეთს. გაისმის გარმონის მხიარული ჰანგები და მხნე საბჭოთა სიმღერები.

ყინულმჭრელ „გიორგი სედოვის“ დრეიფის ორი წლისთავი

ოქტომბრის დამლევს სრულდება ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში ყინულმჭრელ „გიორგი სედოვის“ შესანიშნავი დრეიფის ორი წლისთავი.

15 მამაცი პოლარელი, კაპიტან ამხ. ბადიგინისა და პოლიტმუშაობის დარგში მისი თანაშემწის ამხ. ტროფიმოვის მეთაურობით, თავგამოდებით ებრძვის რა არქტიკის მკაცრ სტიქიას, განუწყვეტლივ ეწევა მეცნიერულ მუშაობას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მთელი ჩვენი ქვეყანა უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალყურს არქტიკული ხომალდის უმაგალითო დრეიფს.

24 ოქტომბერს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს პოლიტსამმართველო სრულიად - საკავშირო რადიოკომიტეტთან ერთად სედოველებისათვის აწყობს დიდ რადიოგადაცემას მოსკოვიდან. რადიოგადაცემა დაიწყება 20 საათზე. კომინტერნის სახელობის რადიოსადგური პროგრამას გადასცემს მთელ საბჭოთა კავშირს. მიკროფონთან გამოვლენ გმირული ეკიპაჟის ოჯახთა წევრები. (საკდესი).

დაიწყო მანდარინის შერჩევითი კრეფა

ბათუმი, 20 ოქტომბერი (საკდესი). 20 ოქტომბერს ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ დაიწყო მანდარინის შერჩევითი კრეფა. კრეფაზე გამოვიდა კოლმეურნეობის პირველი და მესამე ბრიგადა, რომელმაც 30.000 მანდარინი მოკრიფა.

21 და 22 ოქტომბერს მანდარინის შერჩევითი კრეფა დაიწყება აჭარის მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის პირველ, მეორე და მესამე საბჭოთა მეურნეობაში.

ოქტომბრის რევოლუციის XXII წლისთავისათვის აჭარიდან მოსკოვსა და ლენინგრადში გაიგზავნება 30-მდე ვაგონი მანდარინი.

სომხური ხელოვნების დეკადა მოსკოვში. **სურათზე:** ა. ა. სპენდიაროვის ოპერა „ალმასტის“ მეორე მოქმედების სცენა.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ დადებული საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულებისა და მისი დამატებითი ოქმის რატიფიკაცია ჰიტლერის მიერ

ბერლინი, 20 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ 19 ოქტომბერს ჰიტლერმა მოახდინა რატიფიკაცია სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ დადებული გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისა, რომელიც ხელმოწერილ იქნა მოსკოვში ა.-წ. 28 სექტემბერს, და ხსენებული ხელშეკრულების დამატებითი ოქმისა, რომელიც ხელმოწერილ იქნა მოსკოვში ა.-წ. 4 ოქტომბერს.

„ბერლინერ ბერზენცაიტუნგი“ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ დადებული გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ჰიტლერის მიერ რატიფიკაციის შესახებ

ბერლინი, 20 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი“, კომენტარებს უკეთებს რა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრის შესახებ დადებული გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაციას ჰიტლერის მიერ, სწერს, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს განძს აღმოსავლეთ ევროპის მშვიდობიანობის საქმისათვის. „თვითეული მხარე,—აცხადებს გაზეთი,—პატივისცემით მოეპყრობა მეორე მხარის უფლებებს. ორივე ქვეყანა გამსჭვალულია ერთადერთი სურვილით — კვლავ აღადგინოს მშვიდობიანობა და წესრიგი ტერიტორიაზე, რომელიც დეზორგანიზებულ იქნა ვერსალის ხელშეკრულებით.

კონტინენტის ორმა ყველაზე დიდმა და ძლიერმა სახელმწიფომ მჭიდრო შეთანხმება დასდო. ეს ნაბიჯი მათ სწორედ იმ მომენტში გადასდგეს, როცა დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობდნენ ერთმანეთისათვის წაესისიანებინათ ისინი“.

უკანასკნელი ცნობები

დასავლეთის ფრონტზე გერმანიის იერიშის შესახებ

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საკდესი) გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ პარიზელი კორესპონდენტი სწერს, რომ დასავლეთის ფრონტზე გერმანიის ჯარის იერიშში მონაწილეობას იღებდა 90-დან 120 ათასამდე კაცი. გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად წინანდელი ცნობებისა გერმანიის ტანკების ხელში ჩაგდების შესახებ „ახლა ცნობილია, რომ არცერთ იერიშში გერმანიის ტანკებს მონაწილეობა არ მიუღიათ“. გაზეთ „ტაიმსის“ პარიზელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ 16 ოქტომბრის იერიშის შედეგად გერმანელებს მოუკლეს და დაუჭრეს 5 ათასი კაცი.

ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს და გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ კორესპონდენტები, რომელნიც საფრანგეთის ჯართან იმყოფებიან, აცხადებენ, რომ ფრონტის ხაზის 90 მილ მანძილზე მოზელიდან რაინამდე თავმოყრილია გერმანიის 800 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი. გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ კორესპონდენტის სიტყვით, ჯერ გამოურკვეველია. ძალების ასეთი კონცენტრაცია ახალი იერიშისათვის მზადებას წარმოადგენს თუ მისი მიზანია იქ მყოფი ჯარის შეცვლა.

გერმანიის ავიაციის თავდასხმა შოტლანდიაზე

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი იუწყება, რომ დღეს დილით შოტლანდიის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში გერმანიის ავიაციის თავდასხმასთან დაკავშირებით საჰაერო განგაში გამოცხადდა. განგაში ნახევარი საათის შემდეგ შეწყდა, მაგრამ საზენიტო არტილერიის სროლა გრძელდებოდა. ნახევარი საათის შემდეგ კვლავ გამოცხადდა საჰაერო განგაში, რომელმაც ათ წუთს გასტანა. ავიაციის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ გერმანიის ავიაციამ თავდასხმა მოახდინა ფერტ-ოფ-ფორტის ყურის რაიონში.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 20 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობაში ნათქვამია:

„დასავლეთის ფრონტზე საარბრიუკენის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სანაპირო ოლქში ბრძოლის დამთავრების შემდეგ კვლავ მყუდროება ჩამოვარდა. არტილერიისა და მზვერავი ნაწილების ადგილობრივი მოქმედების გარდა ფრონტზე არავითარი განსაკუთრებული რამ არ მომხდარა“.

დასავლეთის ფრონტზე

პარიზი, 20 ოქტომბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს შემდეგ ოფიციალურ კომუნიკეს სამხარი მოქმედების შესახებ, გამოქვეყნებულს პარიზში 19 ოქტომბერს საღამოთი: „დღის განმავლობაში მოქმედებდნენ ორივე მხარის პატრულები, განსაკუთრებით მოზელის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში. ჩვენმა არტილერიამ ამ რაიონში განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინა. მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ჯარმა სრული წესრიგით დაიხია, მტრის პირისპირ დარჩნენ მხოლოდ ცხენოსანი ნაწილები, რომლებსაც ზურგს უმაგრებს ქვეითი ჯარის ზოგიერთი ნაწილი. საფრანგეთის მთავარმა ძალებმა, რომელნიც სექტემბრის დამლევს შეტევაზე გადავიდნენ, მიღებული ბრძანების თანახმად უკან დაიხიეს.

საფრანგეთის ძალების გადაჯგუფება წარმატებით სწარმოებდა ფრონტის მთელს ხაზზე, ამასთან ზოგიერთ პუნქტში ჯარმა უკან დაიხია 10 კილომეტრით. ჯარი განლაგებულ იქნა წინასწარ მომზადებულ ბუნებრივ მიჯნაზე მუდმივ საფორტიფიკაციო ნაგებობათა წინ. ჯარმა მხოლოდ მცირე ზარალი ნახა. მაგრამ ერთ რაზმს ერთი ოფიცრისა, ორმოცდაათამდე უმცროსი მეთაურისა და ჯარისკაცის შემადგენლობით მტერმა გზა გადაუჭრა. ეს რაზმი მამაცურად იცავდა თავს.

ერთგვარ ცვლილებათა შემდეგ ფრონტის ხაზი წინასწარ დასახულ პოზიციებზე გაიშალა. ფრონტის სხვადასხვა უბანზე ხელთ ვიგდეთ ტყვეები“.

ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს შემდეგ კომუნიკეს საფრანგეთსა და გერმანიას შორის საომარი მოქმედების შესახებ, გამოქვეყნებულს პარიზში დღეს დილით: „ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. წვიმიანი ამინდია. ფრონტის ზოგიერთ უბანზე ორივე მხარის პატრულები მოქმედებენ“.

ინგლისის ავიაციის სამინისტროს განცხადება

ლონდონი, 19 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრომ დღეს განაცხადა, რომ გუშინ ინგლისის სამხედრო თვითმფრინავებმა მოახდინეს დაზვერვითი გაფრენა ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაზე. ყველა თვითმფრინავი დაუზიანებლად დაბრუნდა თავის ბაზაზე.

ავიაციის სამინისტრომ გამოაცხადა აგრეთვე, რომ დღეს დილით იორკშირის საგრაფოს ნაპირს მოადგა რეზინის დასაკეცი ნავი, რომელშიაც ორი გერმანელი მფრინავი იჯდა. მათ პოლიციას განუცხადეს, რომ ისინი გერმანიის იმ ყუმბარმშენის ეკიპაჟის წევრები არიან, რომელიც ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს 17 ოქტომბერს. მათი სიტყვით ამ თვითმფრინავის ეკიპაჟიდან 2 კაცი დაიღუპა.

ომის საწინააღმდეგო მოძრაობა ინგლისში

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საკდესი). ომის საწინააღმდეგო მოძრაობა ინგლისში სულ უფრო-და-უფრო ფართო ხასიათს იღებს. იზრდება იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომელნიც ომის გაგრძელების წინააღმდეგ გამოდიან. შოტლანდიის კოოპერატიული გილდიის გენერალურმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვს იმპერიალისტური ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და კონფერენციის მოწვევას ზავის პირობების განსახილველად. ზზინგდონის (ბერკის საგრაფო) ლეიბორისტული ორგანიზაცია მიღებულ რეზოლუციაში მოუწოდებს ლეიბორისტული პარტიის აღმასკომს მოითხოვოს, რათა ინგლისის მთავრობამ იკისროს საზავო კონფერენციის მოწვევის ინიციატივა. მოსამსახურეთა ნაციონალური კავშირის განყოფილება იუელში (სარეის საგრაფო) მოითხოვს ომის შეწყვეტას, ჰგმობს ტრედ-უნიონთა გენერალური საბჭოს თანამშრომლობას ინგლისის მთავრობასთან და მოუწოდებს კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ კამპანია ხელფასის გადიდებისათვის.

დაღუპულ მფრინავთა სია

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ ავიაციის სამინისტრომ გამოაქვეყნა გასულ კვირაში დაღუპულ მფრინავთა მორიგი სია. ამ სიაში შეტანილია 31 კაცი, მათგან 3 კაცი მოკლულია ბრძოლაში, 15 კაცი დაიღუპა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს, 11 კაცი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ორი მფრინავი, რომელიც წინათ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა, შეტანილია ამ სიაში როგორც ბრძოლაში მოკლული.

საფრანგეთის გაზეთების ცნობა საფრანგეთში ნაწილობრივი დემობილიზაციის შესახებ

ბრიუსელი, 20 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის გაზეთები იუწყებიან, რომ სახელმწიფოს ნორმალური ეკონომიური ცხოვრების აღდგენის მიზნით დალადიემ გასცა განკარგულება 1909 წელს დაბადებულ ჯარისკაცთა და უნტერ-ოფიცერთა დემობილიზაციის შესახებ, რაც 20 ოქტომბერს უნდა დაიწყოს. შემდეგში დემობილიზებული იქნებიან აგრეთვე 1910 წელს დაბადებული ჯარისკაცები და უნტერ-ოფიცრები.

დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში

დამთავრდა დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

ბელოსტოკი, 19 ოქტომბერი (საქდესი). დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების დეპუტატთა არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში დამთავრდა დეპუტატობის იმ კანდიდატთა რეგისტრაცია, რომლებიც წამოყენებული არიან მუშათა და ინტელიგენციის კრებების, გლეხთა კომიტეტებისა და დროებით მმართველობათა მიერ. საოლქო საარჩევნო კომისიებმა რეგისტრაციაში გაატარეს 911 კანდიდატი. 10 ოლქიდან ცნობები ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

რეგისტრირებულ კანდიდატთა შორის 788 მამაკაცი და 123 ქალია. აქედან: მუშა 152 (16,7 პროც.), გლეხი—633 (70 პროც), ინტელიგენცია—112 კაცი (12,3 პროც.). ეროვნების მიხედვით კანდიდატები შემდეგნაირად ნაწილდებიან: ბელორუსი—659 კაცი, რაც შეადგენს 72,3 პროცენტს, პოლონელი 105 კაცი—11,5 პროც., ებრაელი 75 კაცი—8,2 პროც., რუსი 38 კაცი—4,2 პროც.

ასახელებენ რა დეპუტატობის კანდიდატებად საუკეთესო ადამიანებს, რომლებსაც შესწევთ დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებულ ხალხთა ინტერესების დაცვის უნარი, მშრომელები თავიანთ კრებებსა და მიტინგებზე ერთსულოვნად აძლევენ განაწესს მომავალ დეპუტატებს ხმა მისცენ სახალხო კრებაში დასავლეთ ბელორუსიის შეერთებას საბჭოთა კავშირთან.

სასიხარულო დღესასწაული

პინსკი, 19 ოქტომბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების დეპუტატთა არჩევნებისათვის მზადება განთავისუფლებული ხალხის სასიხარულო დღესასწაულად გადაიქცა. მრავალი წლის განმავლობაში ადამიანურ უფლებებს მოკლებულ ხალხს საშუალება მიეცა ხმამაღლა ილაპარაკოს თავის საჭიროებებსა და იმედებზე. წინასაარჩევნო კრებებზე მქუხარე სიტყვები გაისმის. გამოდიან ადამიანები, რომლებიც წინათ არასოდეს არ ასულან ტრიბუნაზე.

სოფელ სტეტიჩევოს გლეხმა ვლადიმერ იგნატიუკმა თავისი გრძნობები გამოსთქვა წერილში, რომელიც მან გაზეთ „ოსვობოჟდიონოე პოლესიეს“ გამოუგზავნა. ამ წერილის თვითეული სტრიქონი გამსჭვალულია საბჭოთა მთავრობისადმი, ამხანაგ სტალინისადმი მადლობის მხურვალე გრძნობით. ამხ. იგნატიუკი თავის წერილს ასეთი ლექსით ამთავრებს:

მძიმე დრომ განვლო,
არ გვადევს კისრად მძიმე უღელი.
ბედნიერების მზე ამობრწყინდა,
გული სავსეა სიხარულითა...

დილიდან შუადღემდე პინსკის ქუჩები ხალხით არის გაჭედილი. შენობები, სადაც საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები მუშაობენ, მორთულია ბაირაღებით, პლაკატებით, ყველგან გამოფენილია ამხანაგი სტალინის, მოლოტოვის, კალინინის პორტრეტები. საარჩევნო უბნებში აგიტატორები მოსახლეობას აცნობენ არჩევნების წესს, უხსნიან მათ სსრ კავშირის სახელმწიფო წყობილებას, ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეების იმ დიად უფლებებზე, რომლებიც ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში.

ქალაქ პინსკის მეექვსე საარჩევნო ოლქის ერთერთ უბანში მოეწყო კოლექტიური მოსმენა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ ამხანაგ სტალინის მოხსენებისა საგრამოფონო ჩანაწერებით. შენობა ვერ იტევდა მოხსენების მოსმენის ყველა მსურველთ, ხალხი აწყდებოდა კარებს, ღია ფანჯრებს.

დ. კატრიჩი.

წინასაარჩევნო კრება ლვოვის დიდ თეატრში

ლვოვი (დასავლეთი უკრაინა), 18 ოქტომბერი (საქდესი). დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების არჩევნების დაწყებამდე ორიოდე დღე დარჩა. ძირითადად უკვე დამთავრდა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია. უკვე რეგისტრირებულია დაახლოებით 1.500 კაცი. სოფლებსა და ქალაქებში უდიდესი პოლიტიკური აღფრთოვანებაა.

დღითი-დღე მატულობს აგიტატორებისა და პროპაგანდისტების რიცხვი. მოწყობილია 4 ათასი კაბინი ფარული კენჭისყრისათვის. მთავრდება საარჩევნო ყუთების დამზადება.

ყველგან იმართება არჩევნების მომზადებისადმი მიძღვნილი მიტინგები და კრებები, რაც წარმოადგენს დემონსტრაციას დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებული ხალხის ურყევი ნებისყოფისა შეუერთდეს დიად საბჭოთა კავშირს.

გუშინ ლვოვის დიდ თეატრში გაიმართა ქალაქის მშრომელთა წინასაარჩევნო კრება, რომელსაც დაახლოებით 2.000 კაცი დაესწრო.

მოხსენება მომავალი არჩევნების შესახებ გააკეთა ამხ. ლისენკომ.

კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა სახალხო კრების მე-40 საარჩევნო ოლქის დეპუტატობის კანდიდატმა, ტრამვაის პარკის მუშამ ამხ. ლოზინსკიმ.

— დღეს ერთი თვე შესრულდა იმ ისტორიული დღიდან,—სთქვა მან,— როდესაც სახელოვანი წითელი არმია გადმოვიდა დასავლეთ უკრაინის საზღვარზე და მოგვიტანა თავისუფლება და უფლება თავისუფლად განვაგოთ ჩვენი ბედ-იღბალი, დასავლეთ უკრაინაში მცხოვრები უკრაინელი ხალხის ბედ-იღბალი. ამ ტრიბუნიდან მოვუწოდებ ქალაქ ლვოვის ყველა მოქალაქეს გამოცხადდეს 22 ოქტომბერს საარჩევნო ყუთებთან და თავისი ხმა მისცეს ხალხის საუკეთესო ადამიანებს.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნა მისალმება ამხანაგ სტალინს.

ექიმი კრუ სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატია

ბელოსტოკი, 18 ოქტომბერი (საქდესის სპეცკორი). ბელოსტოკის სამედიცინო მუშაკებმა სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ექიმი ისიდორე გერმანეს-ძე კრუ. მე-18 ოლქის საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა მისი კანდიდატურა კენჭის საყრელად.

ახალგაზრდა ექიმი დიდი პოპულარობით სარგებლობს ქალაქის უღარიბეს მოსახლეობაში. მას „წითელ ექიმს“ ტყუილად როდი ეძახიან.

ამხ. კრუ დაიბადა და გაიზარდა დასავლეთ უკრაინის ღარიბ ოჯახში. 6 კაცისაგან შემდგარი ოჯახი ექიმ კრუს მკერავი დის შემოსავლით ცხოვრობდა. 1932 წელს ამხ. კრუმ დაამთავრა ვილნოს უნივერსიტეტი და მიიღო ექიმ-კარდიოლოგის სპეციალობა. დიდ ქალაქში ახალგაზრდა ექიმს კარი დახშული ჰქონდა. სამუშაოდ შესვლა საავადმყოფოში ან კლინიკაში შეუძლებელი იყო. იგი მიდის დაბა დიატლოვოში, სადაც უფასოდ მკურნალობს ღარიბებს. მუშაობს ღარიბთა სამედიცინო დახმარების საზოგადოებაში.

პოლიციას არაერთხელ დაუპატიმრებია ექიმი კრუ. პირველად იგი დააპატიმრეს 1923 წელს იმისათვის, რომ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვა წარმოსთქვა სეიმის არჩევნების დროს მიტინგებზე. ამ დროს იგი უნივერსიტეტში სწავლობდა. შემდეგ იგი დააპატიმრეს როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო, როდესაც ვილნოში მოსციცკი ჩავიდა. საპყრობილეში ჰყავდათ ორ-ორ და სამ-სამ თვეობით. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად აპატიმრებდნენ, ამხ. კრუ მუშაობას განაგრძობდა, იგი პოლიტიკურ პატიმართა ოჯახების მეგობარი იყო.

გუშინ საღამოს კინო-თეატრში მე-18 ოლქის ათასი ამომრჩეველი შეხვდა სახალხო კრების დეპუტატად დასახელებულ თავის კანდიდატს. ამხ. კრუმ ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა.

— მოგიწოდებთ ხმა მისცეთ, — განაცხადა მან, — ხალხის ღირსეულ წარმომადგენელთ — სახალხო ნაციონალურ კრებაში წარგზავნილთ, რომელნიც გამოსთქვამენ თქვენს აზრს და ხმას მისცემენ საბჭოთა მთავრობას დასავლეთ ბელორუსიაში, მხარს დაუჭერენ დიად საბჭოთა კავშირთან შეერთებას.

ამომრჩევლებმა ხანგრძლივი ოვაციით უპასუხეს თავისი კანდიდატის სიტყვას.

კანდიდატებად დასახელებული არიან საუკეთესო ადამიანები

ტარნოპოლი, 19 ოქტომბერი (საქდესი). მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ხალხმრავალ წინასაარჩევნო კრებებზე სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ თავიანთ საუკეთესო წარმომადგენლებს.

დიდი აქტივობით ჩატარდა კრება სოფელ გლუბოჩეკ-ველიკში, რომელმაც თავის კანდიდატად ერთხმად დაასახელა პ. კ. სერდიუკი. სერდიუკი ბავშვობიდანვე პანების მოჯამაგირედ იყო.

ხანგრძლივი ცხოვრების გზა გაუვლია პროკოფ ანტონის-ძე მენჩიკს, მაგრამ ცოტა ნათელი დღეები უნახავს მას. ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა იგი მემამულეებისათვის და იმაზე ოცნებობდა, რომ ბედნიერ ცხოვრებას მოესწრებოდა. სოფელ ჩერნიხოვცის მცხოვრებლებმა წამოაყენეს იგი სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატად. მათ მენჩიკს მისცეს განაწესი განაცხადოს სახალხო კრებაში, რომ დასავლეთ უკრაინის მშრომელებს მხურვალედ სურთ დიდი საბჭოთა კავშირის ხალხებთან იცხოვრონ და იმუშაონ ერთიან ოჯახში.

იასტრუბოვის საარჩევნო ოლქში წინასაარჩევნო კრებაზე 700 კაცი მოვიდა. მათ სახალხო კრების დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად წამოაყენეს ტარნოპოლის დროებითი მმართველობის წევრი ამხ. ტკაჩენკო.

მებრძოლნი და მეთაურნი პარტიაში შედიან

დასავლეთი უკრაინა, 19 ოქტომბერი (საქდესი). წითელი არმიის იმ ნაწილების მებრძოლებსა და მეთაურებს, რომლებიც დასავლეთ უკრაინაში იმყოფებიან, უდიდესი პოლიტიკური აღტყინება ემჩნევათ. ნაწილების პარტორგანიზაციები მებრძოლთა და მეთაურთა ასობით განცხადებებს იღებენ, სადაც ისინი ითხოულობენ მიღებულ იქნან საკ. კ. პ. (ბ) რიგებში.

— ვთხოვ პარტორგანიზაციას მიმიღოს საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად,—სწერდა თავის განცხადებაში ათეულის მეთაური ამხ. ბოიკო წითელი არმიის გამანთავისუფლებელი მარშის პირველ დღეებში.—არ დავიშურებ ჩემს ძალღონესა და სიცოცხლეს და ვიბრძოლებ თვისტომი ძმების—უკრაინელების განთავისუფლებისათვის. მინდა კომუნისტი წავიდე ბრძოლაში.

პარტიულ კრებაზე, რომელიც ამის შემდეგ მალე შესდგა, ამხ. ბოიკო, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრძოლაში, ერთხმად იქნა მიღებული პარტიის წევრობის კანდიდატად.

იმ ნაწილში, სადაც კომისრად არის ამხ. კრუპნიკოვი, 10 დღის განმავლობაში 45 განცხადება შემოვიდა. უკვე განხილულია 14 მებრძოლისა და მეთაურის საქმე. ისინი ერთხმად მიიღეს საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება

როგორ ვემზადებით არჩევნებისათვის

ზესტაფონის ქალაქის საბჭო ფართო მოსამზადებელ მუშაობას ატარებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის.

ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს დეპუტატთა ანგარიშგება. სულ ანგარიშგებას 3 ათასამდე ამომრჩეველი დაესწრო, რომელთაგან კამათში მონაწილეობა მიიღო 200 ამომრჩეველმა.

ამომრჩევლებმა დეპუტატთა განვლილი მუშაობის შეფასებასთან ერთად წამოაყენეს პრაქტიკული წინადადებანი, მაგალითად: ქუჩების კეთილმოწყობა, ელექტროქსელისა და კანალიზაციის გაყვანა, წისქვილის აგება, წყალსადენის ამუშავება, ქალაქის გარეუბნებში სავაჭრო მაღაზიებისა და პურის წერტების გახსნა, მდინარე ყვირილის ხიდის გაფართოება და სხვ.

ამომრჩევლები მეტად კმაყოფილი არიან ქალაქის საბჭოს დეპუტატების ვანო გუნიავას, ლიდა ბუხნიკაშვილის, პ. ტატულაშვილის, ნ. ჩხეტიას, კატო ბაბლიძის, გ. და ვ. მაჭავარიანების, გ. მამალაძისა და სხვების მუშაობით. დეპუტატთა უმრავლესობის მუშაობა ამომრჩევლებმა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს.

ის ჩამორჩენა საგიტაციო მუშაობაში, რაც ზესტაფონის რაიონს ჰქონდა, თანდათან სწორდება. ქალაქად შექმნილია დებულების შემსწავლელი 124 წრე, რომლებშიაც ჩაბმულია 3000 ამომრჩეველი. აგიტატორებად და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებად პარტიის რაიკომმა სათანადოდ მომზადებული და გამოცდილი ამხანაგები შეარჩია.

ქალაქში 7 საგიტაციო უბანია. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელებს ვ. თავაძეს, ვ. რაზმაძეს და ვ. კოკნაძეს საგიტაციო მუშაობა სანიმუშოდ აქვთ დაყენებული.

მოწინავე აგიტატორები ხუციშვილი, პ. ქლიბაძე, თ. პატარიძე, მ. მიქაუტაძე, ნინა დავითური, მანია აბრამოვა და სხვები თავიანთ უბნებში სისტემატურად ატარებენ აგიტაციას.

ქალაქის საბჭომ მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით განსაზღვრა საარჩევნო ოლქებისა და უბნების საზღვრები, ნავარაუდევია ქალაქად შეიქმნას საქალაქო საბჭოს არჩევნების 37 საარჩევნო ოლქი და რაიონული საბჭოს არჩევნების 13 საარჩევნო ოლქი. გამონახულია საარჩევნო უბნებისა და ოლქების ცენტრების ბინები. დამთავრდა ამომრჩეველთა სიების წინასწარი შედგენაც.

ზესტაფონის რაიონის ხელმძღვანელი ორგანიზაციების წინაშე ამჟამად მეტად სერიოზული ამოცანა დგას: ღირსეულად მოემზადონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის და უზრუნველჰყონ მასში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება.

რ. მამალაძე

ზესტაფონის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომმა ჩაატარა რაიონის წარმოება-დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სამდღიანი კურს-კონფერენცია, რომელზედაც წაკითხულ და დამუშავებულ იქნა საბჭოების არჩევნების დებულება.

ქობულეთის რაიონში ამჟამად მუშაობს 758 აგიტატორი და მესაუბრე-წამკითხველი. არის 52 აგიტპუნქტი და 37 აგიტკოლექტივი. დებულების შემსწავლელი ყველა წრე უზრუნველყოფილია ლიტერატურით და სამეცადინო ბინებით. გარდა ამისა, შერჩეულია ლექტორთა ჯგუფი, რომლებიც სისტემატურად კითხულობენ კვალიფიციურ მოხსენებებსა და ლექციებს.

მოწინავე აგიტატორებად ითვლებიან კ. იმნაიშვილი, დოდო ხაბაშვილი, მ. გობრონიძე, ნ. თავაძე, თ. მეუნარგია, ნ. მახარაძე, ა. ახალაძე, და სხვ. ისინი წინასწარ ემზადებიან მეცადინეობისათვის, ადგენენ კონსპექტებს, ცოცხლად და საინტერესოდ ატარებენ საუბრებს. მშრომელები ამ აგიტატორებს უდიდესი ყურადღებით უსმენენ.

საგიტაციო მუშაობაში ჩაბმულია ქობულეთის რაიონის ინტელიგენციის დიდი ნაწილი, რომელთაც წინა არჩევნებში საგიტაციო მუშაობის მდიდარი გამოცდილება მიიღეს.

პარტკაბინეტი დამაკმაყოფილებლად მუშაობს. აგიტატორების, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელებისა და მესაუბრე-წამკითხველებისათვის სისტემატურად ტარდება მოხსენებები, ლექციები და კონსულტაციები. ტარდება საუბრები. აგიტაციის ყველა ფორმისა და მეთოდის გამოყენების შესახებ.

უნდა აღინიშნოს ნაკლოვანებანიც: ზოგიერთმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ საკმაო სერიოზულობით არ მოჰკიდა ხელი ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას და ყურადღება არ მიაქცია საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაშლას. მაგალითად, კურორტთა სამმართველოს (პარტბიუროს მდივანი — კურტანიძე) და კურორტვაჭრობის (პარტბიუროს მდივანი — კუკულაძე) პარტორგანიზაციები არ ამოწმებენ აგიტატორთა მიერ ჩატარებული მუშაობის ხარისხს, არ ხდება მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების გაზიარება, არ ეხმარებიან აგიტატორებს და სხვ.

პარტორგანიზაციების ამოცანაა გამოასწორონ არსებული ნაკლოვანებანი და ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს.

ილია სვანიძე

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის ინსტრუქტორი.

რატომ ჩამორჩება სტალინის სახელობის მაღარო?

სტალინის სახელობის მაღარომ პირველ კვარტალში მარგანეცის გამოღების გეგმა ვერ შეასრულა. მეორე კვარტალში მაღარო ჩამორჩენილი იყო და თუმცა მესამე კვარტალში მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, მაგრამ ჩამორჩენა მაინც გრძელდება.

— მაღაროებში მუშა-ხელის სიმცირეა, გვაკლია 392 კაცი,—ამბობს ფაბრიკა-მაღაროს გამგე ამხ. ვ. გეწაძე. 3 გამაუხვებელ ფაბრიკას მთლიანად აკლია მესამე ცვლის შემადგენლობა 111 კაცის რაოდენობით. მუშა-ხელი უნდა მოგვაწოდონ კოლმეურნეობებმა, მაგრამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის მხოლოდ 30-35 პროცენტს გვაწვდიან, მათი უმრავლესობაც სტოვებს სამუშაოს.

1-დან 11 ოქტომბრამდე მაღაროში მოვიდა 242 კაცი, აქედან 88 კაცმა მიატოვა სამუშაო. მუშა-ხელის ასეთი დენადობა სცემს შრომის ნაყოფიერებას და მკვეთრად ამცირებს სტახანოველთა რიცხვს მაღაროში. სექტემბრის მონაცემების მიხედვით მაღაროში 509 კაცი მუშაობდა, ხოლო გამაუხვებელ ფაბრიკებში — 186. უშუალოდ მაღაროში მომუშავე სტახანოველთა რიცხვი 125 კაცს უდრის, ფაბრიკებში — 13 კაცს.

ცუდად არის მოგვარებული მაღაროს მომარაგება როგორც მასალებითა და მოწყობილობით, ისე აგრეთვე სპეცტანსაცმლითა და სპეცფეხსაცმლით. ახლად მოსული მუშების ბინებისა და მათი მოწყობის საკითხი გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს.

მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს აგრეთვე პოლიტმასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობა ახლად მიღებულ მუშებში. მათ ესაჭიროებათ დახმარება, გამოცდილების გაზიარება, პირველ რიგში საწარმოო დარგში, რათა მალე დაეუფლონ მაღაროებში მუშაობას და ჩადგნენ სტახანოველთა რიგებში. ამისათვის ფართოდ უნდა დავნერგოთ და განვავითაროთ სტახანოვური სკოლების მუშაობა უბნებზე, ცვლებსა და ბრიგადებში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველდღიურად ხდებოდეს სტახანოველთა და ჩამორჩენილთა მიერ გეგმების შესრულების მაჩვენებლების გამოქვეყნება საამისოდ გამზადებულ სპეციალურ დაფებზე. ამჟამად ეს მხოლოდ ექვსდღიურში ერთხელ ხდება და ისიც არა ყველა უბანზე.

მიმდინარე წლის აგვისტოს პირველი რიცხვებიდან სტალინის სახელობის № 25 მაღაროს მეექვსე უბანში (უბნის გამგე — ორდენოსანი გრ. ფოფხაძე) საზიდი შტრეკი 70-ის პირველ და მეორე სანგრევზე მუშაობა დაიწყო პირველმა ციკლურმა ბრიგადამ. ეს ბრიგადა თავის მხრივ შესდგება სამი ქვებრიგადისაგან სამუშაოს სახეების მიხედვით.

მომზადების ბრიგადაში შედის მებიგე, რომელიც იმავე დროს ბრიგადირიც არის, მზურღავი, რკინიგზელი და ამფეთქებელი. აწმენდის ბრიგადაში შედის 2 ამწმენდი, 4 გამგორებელი, 2 ჯალამბრის მემანქანე (ბრიგადირად ამწმენდია). დაწმენდის ბრიგადაში 2 ამწმენდი, 4 გამგორებელი და 2 ჯალამბრის მემანქანეა. ამ ციკლური ბრიგადის ბრიგადირებად [illegible] მალაძე (ამწმენდი), ლევან გაფრინდაშვილი (მებიგე) და მიხა ტყემალაძე (ამწმენდი). შრომის სწორი ორგანიზაციით ეს ბრიგადები აღწევენ დღეღამეში ერთ ციკლზე მეტს და ორ სანგრევზე, რომლებიც ერთმანეთისაგან დაახლოებით 15 მეტრითაა დაშორებული, იძლევიან 100 ტონაზე მეტ მადანს. ციკლური მუშაობა ამ ბრიგადებში შეუფერხებლად მიმდინარეობს და არც მუშათა დენადობას აქვს ადგილი.

ანალოგიური ციკლური ბრიგადები უკვე დაკომპლექტებულია მეშვიდე უბანზე და ახლო მომავალში შეუდგება მუშაობას.

სრული შესაძლებლობაა იმისა, რომ ციკლური მუშაობა ფართოდ დაინერგოს და მეექვსე უბნის გამოცდილება ამ მხრივ ფართოდ გავრცელდეს სხვა უბნებშიც.

რატომ არის რომ მეექვსე უბანი (სექტემბრის გეგმა შეასრულა 95 პროცენტით), ისევე როგორც მეხუთე და მეშვიდე (სექტემბრის გეგმა სამივე უბანში 90 პროცენტით შესრულდა) ვერ ასრულებენ გეგმას? ამის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ შრომის ცუდი ორგანიზაცია ამ უბნების მთელ რიგ სანგრევებში, მექანიზმების სუსტად გამოყენება, მუშა-ხელის სიმცირე და დენადობა, ჯალამბრებისათვის ბაგირების საჭირო რაოდენობით უქონლობა და სხვ. ამ უბნებში გამოზიდვა მთლიანად მექანიზებულია. ძველი ბაგირები ხშირად წყდება, რაც დიდად აფერხებს მადნის გამოზიდვას სანგრევებიდან საჰაერო გზამდე.

— მეექვსე უბანში — აცხადებს უბნის გამგე ამხ. ტრ. ფოფხაძე, — ამჟამად 108 კაცი მუშაობს. იმისათვის, რომ მივაღწიოთ ახალი გადიდებული გეგმის — დღეღამეში 490 ტონის — შესრულებას, საჭიროა კიდევ 40-მდე მუშა. სამუშაო ფრონტი მომზადებულია, მხოლოდ ხელს გვიშლის მუშა-ხელის ნაკლებობა და საჰაერო გზის ცუდი მუშაობა.

სტალინის სახელობის მაღაროს ჩამორჩენის მიზეზებს მუშა-ხელის ნაკლებობასა და ცუდ მომარაგებასთან ერთად წარმოადგენს შრომის ცუდი ორგანიზაცია მთელ რიგ უბნებზე, შრომის დაბალი დისციპლინა, მექანიზმების სუსტად გამოყენება, ციკლური მუშაობის მხოლოდ მცირე მასშტაბით დანერგვა და სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის სუსტად გაშლა უბნებისა და ცვლების მიხედვით. ჩამორჩენის ეს მიზეზები მეტად თუ ნაკლებად ეხება ჭიათურის მარგანტრესტის ყველა ფაბრიკა-მაღაროს.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ფაბრიკა-მაღაროების სამეურნეო ხელმძღვანელობამ, ადგილობრივმა პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა უახლოეს ხანში მიაღწიონ მუშაობის ისე გარდაქმნას, რომ სავსებით უზრუნველყოფილ იქნას მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის გაზრდილი გეგმების განუხრელად შესრულება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების საფუძველზე.

მ. აბაკელი.

ჩემი უბანი მოწინავე იქნება

დაჯილდოების შემდეგ კიდევ მეტი ენერგიით შევუდექი მუშაობას და გამომუშავების მაღალ მაჩვენებლებს ვაღწევდი. უკანასკნელ დღეებშიც, კრასნიპროლეტარელების მოწოდების საპასუხოდ, გეგმას ორმაგად და სამმაგად ვასრულებდი.

მაგრამ აქვე არ შეიძლება საყვედური არ გამოვთქვა პირველი უბნის გამგის ამხ. ბოჭორიშვილის მიმართ, რადგან ჩვენი სამუშაო დღე დატვირთული არ იყო.

აი მაგალითებიც. 13 ოქტომბერს № 32 ლავში ვაგონები არ მოგვაწოდეს და 23 ვაგონის ნაცვლად 13 ვაგონი მარგანეცი გამოვიღე. ასევე დაუტვირთავი იყვნენ ამწმენდები მ. მასხარაშვილი, ალ. ყავილაშვილი, ალ. ჯაჯანიძე (მეხუთე უბანი) და სხვ.

რკინიგზას ცუდად აგებენ. ამის გამო ვარდება ვაგონები და 2-3 საათი ვცდებით. ძალიან ხშირად ლავი გაუმართავია. ბიგას ცუდად დადგამენ და ვაგონის გავსება შეუძლებელია. ზოგჯერ რამდენიმე კაცი ერთდროულად ვერ ავსებს ვაგონს. ერთი რომ ვაგონს ადრე გაავსებს, მან მეორეს უნდა მოუცადოს, ეს კი ხელს უშლის ჩვენი შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

ჩვენს ლავში ხშირად რკინიგზაც დაშორებულია ხოლმე სანგრევიდან და მადნის ნიჩბით გადატანა 5-6 მეტრზე გვიხდება. ეს საკითხები აუცილებლად დაჩქარებით უნდა მოგვარდეს.

დასასრულ, ჩემი ახალი თანამდებობის შესახებ. 15 ოქტომბრიდან მესამე უბნის გამგედ დამაწინაურეს. ეს ფრიად სერიოზული და პასუხსაგები საქმეა. ეს მავალებს უფრო მეტი ვიმუშაო, უფრო მეტად ჩავწვდე საწარმოო საკითხებს. ყველა პირობა შევუქმნა ჩემი უბნის მუშებს, რათა ქვეყანას მივცეთ მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

სიტყვას ვიძლევი, რომ ჩემი უბანი მუდამ მოწინავე იქნება. ჩვენ ახალი საწარმოო საჩუქრებით შევხვდებით სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავს.

პლ. ბოჟოველი

კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს მესამე უბნის გამგე, ორდენოსანი.

თბილისის ახალგაზრდობის სამხედრო-ტაქტიკური მეცადინეობა. ფოტო რ. აკოფოვისა.

თბილისის ახალგაზრდობის სამხედრო-ტაქტიკური სწავლება

18 ოქტომბერს თბილისს გარეთ ველზე საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის სამხედრო - ფიზკულტურული განყოფილების ინიციატივით გაიმართა თბილისის კომკავშირული და კავშირგარეშე ახალგაზრდობის სამხედრო-ტაქტიკური სწავლება, რომლის მიზანიც იყო ახალგაზრდათა მასების ნამდვილი ფრონტის პირობებში ბრძოლისათვის მზადყოფნის შემოწმება.

სამხედრო-ტაქტიკური სწავლება ჩატარდა მთა-გორაკიან ადგილზე, სადაც განსაკუთრებული სიძნელის დაბრკოლებების გადალახვა იყო საჭირო შეტევაზე გადასულთათვის. მებრძოლთა შენაერთებსა და დანაყოფებს შეტევაზე გადასვლისას უნდა გადაელახათ ჭაობიანი ადგილები, ტბები, კლდოვანი აღმართ-დაღმართები, ბუჩქნარები და მოშიშვლებული სიმაღლეები.

სწავლების დროს, რაც დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე გაგრძელდა, „ბრძოლებში“ გამოყენებულ იქნა ყველა სახის შეიარაღება—ტყვიამფრქვევები, არტილერია, ცხენოსანი ნაწილები, ქიმიური საშუალებები, ტანკები და თვითმფრინავები.

ნაშუადღევის 4 საათზე გაიმართა სამხედრო-ტაქტიკური სწავლების მონაწილეთა შეკრება, რომელზედაც განიხილეს და გაარჩიეს ჩატარებული სწავლების შედეგები.

სწავლების ჩატარების ხელმძღვანელმა სარდლობამ სწავლებისათვის მომზადებას კარგი შეფასება მისცა: სწავლებაში მონაწილე ახალგაზრდობა შესაკრებ პუნქტებზე გამოცხადდა ზუსტად დანიშნული დროისათვის და უფრო ადრეც. შეტევაზე გადასვლის წინ ყველა შენაერთები და დანაყოფები გამოსასვლელ წერტილზე მივიდნენ და განლაგდნენ სარდლობის მიერ დანიშნული დროისათვის. შეტევაზე გადასვლისას დანაყოფები მიდიოდნენ სრული წესრიგით, მეზობელ, სატანკო ნაწილებთან სრული ურთიერთმოქმედებით, ავიაციასთან და სატანკო-ჯავშნიან ნაწილებთან სრული საბრძოლო ურთიერთმოქმედებით.

სწავლების სარდლობამ აღნიშნა, რომ განსაკუთრებული წარმატებით ჩაატარა მეცადინეობა № შენაერთმა, რომელსაც სარდლობდა გ. ჯინჭარაძე (შენაერთის კომისარი ამხ. მ. შეყლაშვილი).

სარდლობამ ბრწყინვალე შეფასება მისცა ავიაციის მოქმედებას. მიცემულ ამოცანებს ავიაცია ასრულებდა ზუსტად დანიშნული დროისათვის და „ბრძოლებს“ მართავდა იშვიათი ოსტატობით.

ასევე კარგი შეფასება მიიღო არტილერიამ, საკავშირო ნაწილებმა, ცხენოსანმა ნაწილებმა და სხვ.

სამხედრო-ტაქტიკური სწავლების შედეგთა შეჯამების შემდეგ გაიმართა მიტინგი.

ამხ. ა. ნიკიტინის სიტყვა

— დღევანდელი სამხედრო-ტაქტიკური სწავლების ასე კარგად ჩატარებით,—სთქვა მიტინგზე სამხედრო-ტაქტიკური სწავლების შტაბის უფროსმა ამხ. ა. ნიკიტინმა, — თბილისის მშრომელმა ახალგაზრდობამ, მისმა იმ საუკეთესო ნაწილმა, რომელმაც ამ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო, დაამტკიცა, რომ იგი ყოველ წუთს მზადაა საკადრისი პასუხი გასცეს მტერს. თბილისის მშრომელმა ახალგაზრდობამ დღევანდელი სამხედრო-ტაქტიკური ვარჯიშით დაამტკიცა, რომ მას ძალუძს დაიცვას თავისი დიადი სამშობლოს საზღვრები და გათავხედებული მტერი გაანადგუროს მისსავე ტერიტორიაზე.

ამ სამხედრო-ტაქტიკური მეცადინეობის საუკეთესო შედეგებმა ერთი წუთითაც არ უნდა დააკმაყოფილოს ჩვენი ახალგაზრდობა. მათ კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ თავდაცვითი მუშაობა, კიდევ მეტი ენერგიით განაგრძონ საბრძოლო მომზადება და იყვნენ მუდამ მზად მტრისაკენ გასალაშქრებლად დიადი საბჭოთა სამშობლოსათვის, დიდი სტალინისათვის.

შემდეგ ნიკიტინმა შეფასება მისცა სწავლებაში მონაწილე შენაერთებისა და დანაყოფების მუშაობას და სამხედრო-ტაქტიკური სწავლების ხელმძღვანელი სარდლობის სახელით მადლობა გამოუცხადა მთელ პირად შემადგენლობას.

ამხ. აიზენშტადტის სიტყვა

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა სამხედრო - ტაქტიკური სწავლების სამხედრო კომისარმა ამხ. აიზენშტადტმა თბილისის ახალგაზრდობას მიულოცა სამხედრო-ტაქტიკური ვარჯიშის კარგად ჩატარება და აღნიშნა მებრძოლების შესანიშნავი მორალურ-ფიზიკური განწყობილება, მიუხედავად საბრძოლო მარშის სიდიდისა და „ბრძოლის“ ველის ტოპოგრაფიული სიძნელეებისა.

— დღევანდელმა სამხედრო-ტაქტიკურმა სწავლებამ, — განაცხადა ამხ. კომისარმა,—დაამტკიცა, რომ ჩვენს შესანიშნავ სტალინურ ახალგაზრდობას შეუძლია ბრძოლის ველზე წარმატებით შეასრულოს მუშურ-გლეხური წითელი არმიის სარდლობის ესა თუ ის ამოცანა. დღეს „ბრძოლის“ ველზე გამოსულმა თბილისის ახალგაზრდებმა შესანიშნავად მოაწყეს როგორც თავდაცვა, ისე შეტევა და წარმატებით შეასრულეს სარდლობის მიერ დაყენებული ამოცანები.

ვიყოთ მუდამ მზად ჩვენი სამშობლოს საზღვრების დასაცავად. ვიყოთ მუდამ მზად ლენინ-სტალინის პარტიისათვის, დიდი სტალინისათვის თავდასადებად.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს და მის შეიარაღებულ ძალას, უძლეველ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ლენინ - სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს მეგობარს, მამას და მასწავლებელს დიდ **სტალინს!**

მიტინგზე დამსწრე რამდენიმე ათასმა ახალგაზრდამ ერთსულოვანი ტაშითა და ოვაციით უპასუხა დიდი ბელადის სახელის ხსენებას.

— **ამხანაგ სტალინს ვაშა!** გაისმოდა მიტინგზე ძახილი და ახალ-ახალი სიძლიერით ჰქუხდა თბილისის ერთად შეყრილი მრავალი ათასი ახალგაზრდა პატრიოტის ხმა.

— **ამხანაგ სტალინს ვაშაა!** გაისმოდა მთის მწვერვალებიდან და ხევებიდან გამოძახილი.

დიდხანს გაგრძელდა ტაში და ოვაციები ამხანაგ **სტალინის**, ამხანაგ **მოლოტოვის, ვოროშილოვის** და **ბერიას** პატივსაცემად.

მიტინგის შემდეგ ქალაქისაკენ გამოლაშქრების წინ მებრძოლები დასასვენებლად დაბანაკდნენ. მოეწყო ცეკვა-თამაში, გართობა და დროსტარება.

მზე უკვე ჩადიოდა, როცა შეიარაღებული თბილისის ახალგაზრდობის შენაერთებმა და დანაყოფებმა სალაშქრო წესით თბილისისკენ გამოსწიეს.

სამხედრო-ტაქტიკური სწავლებისას „ფრონტზე“ სწარმოებდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა და გამოდიოდა „ახალგაზრდა კომუნისტის“ „საფრონტო“ ნომრები. მთელი ლაშქრობა, შეტევაზე გადასვლა, „ბრძოლები“ და სხვ. გადაიღო საქ. კინოქრონიკის ბრიგადამ.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის მეორე რესპუბლიკური კონფერენცია

17-19 ოქტომბერს შრომის სასახლის კლუბში მიმდინარეობდა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის მეორე რესპუბლიკური კონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა საქ. სამომხმარებლო კოოპერაციის პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ი. ბურჭულაძის ვრცელი საანგარიშო მოხსენება განვლილი ორი წლის მუშაობის შესახებ.

მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველებული კამათი, რომელიც გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა. კამათში მონაწილეობა მიიღო 27 კაცმა.

კამათში გამოსულმა დელეგატებმა საქ. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის მუშაობაში მთელი რიგი ნაკლოვანებები აღნიშნეს: კავშირის პრეზიდიუმი სუსტად იბრძვის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში მუშაკთა დენადობის წინააღმდეგ, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის; სისტემატურად არ სწარმოებს მოწინავე მუშაკების გამოვლინება, დაჯილდოვება-სტიმულირება, ადგილებზე სოცშეჯიბრების შედეგების შემოწმება, აქტივის კრებების მოწვევა, საწარმოო თათბირების დანერგვა და მათი მნიშვნელობის განმტკიცება; სუსტია კულტმასობრივი მუშაობა, ზემდგომ ორგანოების დადგენილებათა რეალიზაციის შემოწმება, შესრულების კონტროლი, ვაფლანგვა-განიავებასთან, ფასების დამახინჯებასთან და მომხმარებლების მოტყუებასთან ბრძოლაში კავშირის მონაწილეობა და სხვ.

დელეგატმა ამხ. მეიერმა (ცეკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე) აღნიშნა, რომ კავშირი საკმაოდ არ ებრძოდა ცეკავშირს გაფლანგვა-განიავებასთან ბრძოლის საქმეში. მან ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ ადგილებზე სუსტად სწარმოებს ბრძოლა პირველი მოთხოვნილების საგნებით უზრუნველყოფისათვის. არსებობს პირველი მოთხოვნილების საგნების 87 სახე, როგორც აუცილებელი მინიმუმი, და, მიუხედავად იმისა, რომ საქონლის 85 სახე [illegible] ცეკავშირს უხვად მოეპოვება, ხშირად ადგილებზე უხეირო მუშაობის შედეგად საქონლის მხოლოდ 60-65 სახე იშოვება.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის პროფკავშირის ც. კ-ის თავმჯდომარემ ამხ. აბდულაევმა.

კამათის დამთავრების შემდეგ კონფერენციამ ცენტრალური გამგეობის მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დასასრულ, ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა კავშირის პლენუმი 25 წევრისა და 9 კანდიდატის შემადგენლობით, სარევიზიო კომისია 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით და 27 დელეგატი საკავშირო სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა კავკასიის ყრილობაზე.

პლენუმმა აირჩია კავშირის პრეზიდიუმი ხუთი კაცის შემადგენლობით.

პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ი. ბურჭულაძე, პასუხისმგებელ მდივნად ამხ. დ. ჯაში.

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივაღწიოთ გადამწყვეტ გარდატეხას ხვნა-თესვაში

ხვნა დამთავრებულია. თესვაც მალე დამთავრდება

(ტელეფონით საუბარი საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივან ამხ. ბ. ყურაშვილთან)

საშემოდგომო ხვნა-თესვის მიმდინარეობის შესახებ გაზეთ „კომუნისტის" თანამშრომელი ესაუბრა საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანს ამხ. ბ. ყურაშვილს, რომელმაც განაცხადა:

რაიონში ხვნის გეგმა უკვე შესრულებულია. რაც შეეხება თესვას, ყველა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ გეგმა (18.500 ჰექტარი) ვადაზე ადრე შესრულდეს.

ულიანოვკის მტს-ს კოლმეურნეობებში თესვის გეგმა შესრულებული აქვს 70 პროცენტით, ალაზნის მტს-ს 60-ით, წნორისას — 40 პროცენტით. ტრაქტორების მუშაობისათვის რაიონს აკლია 60 ტონამდე ლიგროინი, მაგრამ ამჟამად მიწსახკომის მიერ ლიმიტი დაშვებულია.

თესვის წარმატებით ჩატარებისათვის კოლმეურნეობებზე დახმარების გასაწევად მიმაგრებულია 56 კაცი.

რაიონში მიწსახკომის საშუალებით 100 ჰექტარისათვის მიღებულია 170 ცენტნერი დოლის პურის თესლი, რომელიც უკონდიციო აღმოჩნდა. მის შესაცვლელად გამოყოფილი გვაქვს „კოოპერატორკას" საუკეთესო თესლი. ერთი სიტყვით, რაიონი მთლიანად უზრუნველყოფილია სათესლე მასალით.

თესვის გეგმა უკვე შესრულებულია 7 კოლმეურნეობაში, შედარებით ჩამორჩენილია კოლმეურნეობები: ახალი ანაგის — „გლეხის მაგალითი" და „მისწრაფება", წნორის — „გლეხის სინათლე", ვაქირის — „შეერთება", ნუკრიანის — „ლენინის ანდერძი", აგრეთვე ვაქირის — სტალინისა და საქობოს— VI ლეგიონის სახელობის კოლმეურნეობები.

19 ოქტომბერს პარტრაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი ჩამორჩენის დაჩქარებით გამოსასწორებლად, გეგმის ვადაზე 5 დღით ადრე—25 ოქტომბერს შესასრულებლად.

თესლი არ ჰყოფნით, ტრაქტორებიც მოაცდინეს

(ტელეფონით საუბარი საქ. კ. პ. (ბ) ბოგდანოვკის რაიკომის მდივან ამხ. დანელიანთან

გაზეთ „კომუნისტის" თანამშრომელი საშემოდგომო ხვნა-თესვის მიმდინარეობის შესახებ ტელეფონით ესაუბრა საქ. კ. პ. (ბ) ბოგდანოვკის რაიკომის მდივანს ამხ. დანელიანს, რომელმაც განაცხადა:

რაიონში თესვა მხოლოდ 17 ოქტომბერს დაიწყო და გეგმის შესრულება 4-5 პროცენტს არ აღემატება. ამის მიზეზი ის არის, რომ ჯერ აუღებელია ვიკა, რომელიც 700 ჰექტარზე უნდა დაითესოს.

მეტიც. მოსავალი აღებულიც რომ იყოს, რაიონს 200 ჰექტარისათვის თესლი არ ეყოფა. რაიმიწგანმა დროულად არ შეამოწმა სათესლე ნაკვეთები, არ გამოარკვია თესლის გამოსავლიანობის შესაძლებლობა და არც ზომები მიიღო მის შესაძენად მეზობელ რაიონებში.

სუსტად მუშაობს მტს-იც. საწვავის მოუმარაგებლობის გამო თითქმის 4 დღეს არ მუშაობდა 35 ტრაქტორი.

18 ოქტომბერს ბოგდანოვკაში ჩატარდა რაიონული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, აგრონომები და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. მიღებულია ზომები თესვის 25 ოქტომბრისათვის დასამთავრებლად.

შეუმოწმებელ თესლს სთესენ

(ლაგოდეხი, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

ლაგოდეხის რაიონმა საშემოდგომო თავთავიანი კულტურები 10.294 ჰექტარზე უნდა დათესოს. 17 ოქტომბრისათვის დათესილი იყო 6.267 ჰექტარი. ამავე რიცხვისათვის მოხნული იყო 8.363 ჰექტარი, გეგმის 80 პროცენტი.

სოფ. ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობას 325 ჰექტარიდან 19 ოქტომბრისათვის დათესილი ჰქონდა 250 ჰექტარი. სოფ. ჩადუნიანის კოლმეურნეობა „ოქტომბრის ქარიშხალს" კი—100 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 212 ჰექტარისა.

ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ყარსუბნის ბაქრაძის და ჩარკვიანის სახელობის და სოფელ აფენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში.

ზოგან შეუმოწმებელ და დაბალი ხარისხის თესლს სთესენ. კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — ონ. ბაძგარაძე) 4 ტონა უვარგისი ხორბალი დათესა. ასევე მოიქცა სოფელ ბუდიონოვკის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — ი. არალოვი).

ხვნა-თესვაში შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენს ლაგოდეხის მტს-ი (დირექტორი — ამხ. გუდკოვი). 8 დღის განმავლობაში 40 ტრაქტორი უქმად იდგა, რადგან საწვავ-საცხები მასალა თავის დროზე არ მოიმარაგეს. ტრაქტორების ზოგიერთ სათადარიგო ნაწილს ახლა დაეძებენ.

ზოგიერთ სატრაქტორო ბრიგადაში შრომა მოუწესრიგებელია. მტს-ის დირექცია ნაკლებად ზრუნავს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამიტომ ადგილი აქვს ტრაქტორისტების დენადობას.

მაგალითად, ტრაქტორისტი ყაჩმაზოვი მტს-იდან წავიდა და ამჟამად სოფელ აფენის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში საწყობის გამგედ მუშაობს. ადგილი აქვს უდისციპლინობასა და თვითნებობას. ბრიგადირმა გრიგოლაშვილმა თვითნებურად დასტოვა ბრიგადა ამ გახურებული ხვნა-თესვის დღეებში და სამი დღე თავის ვენახში მუშაობდა.

მტს-ის მოძრავი სახელოსნოც უქმად დგას. სახელოსნოში ქაოსია გამეფებული. ადგილი აქვს ტრაქტორების ნაწილების დატაცებას. თუ ლაგოდეხის მტს-ის დირექციამ სასწრაფოდ არ გარდაჰქმნა მუშაობა, ხვნა-თესვის გეგმის დროზე შესრულებას საფრთხე მოელის.

მ. სირაძე

საშემოდგომო თესვაში ჩამორჩენა შეუწყნარებელია

(გურჯაანი, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებში მიმდინარე წლის შემოდგომაზე უნდა დაითესოს 16.700 ჰექტარი მარცვლეული კულტურები. აღნიშნული გეგმის ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულება ავალებდა რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს თავიდანვე ფართოდ გაეშალათ მუშაობა საშემოდგომო ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარებისათვის. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

რაიმიწგანის 15 ოქტომბრის ცნობების მიხედვით გურჯაანის კოლმეურნეობებს დათესილი ჰქონდათ მხოლოდ 2.074 ჰექტარი, რაც გეგმის 12,3 პროცენტს უდრის. მიუხედავად იმისა, რომ თესვის დამთავრების დაწესებული ვადა დასასრულს უახლოვდება, რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებს თესვა 18 ოქტომბრისათვისაც არ ჰქონდათ დაწყებული.

სამარცხვინოდ ჩამორჩა ბაკურციხის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა. მიმდინარე წლის შემოდგომაზე აქ უნდა დასთესონ 118 ჰექტარი მარცვლეული კულტურები. 19 ოქტომბრისათვის მოხნული ჰქონდათ მხოლოდ 43,1 ჰექტარი, თესვა კი აღნიშნული რიცხვისათვის დაწყებულიც არ იყო.

შეუწყნარებელია ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ნ. ბეჟაშვილის მოქმედება. მტს-ის მესამე სატრაქტორო ბრიგადის „სტზ" მარკის ტრაქტორი 4 დღე მოცდა იმის გამო, რომ კოლმეურნეობამ ვერ უზრუნველჰყო საწვავ-საცხები მასალის დანიშნულ ადგილზე გადატანა. გარდა ამისა, 3 ოქტომბერს აღნიშნულმა სატრაქტორო ბრიგადამ ორი ჰექტარი დაბალი ხარისხით მოხნა, კოლმეურნეობის ბრიგადირმა არ ჩაიბარა ტრაქტორებით შესრულებული სამუშაოები. საჭირო იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და მტს-ის აგრონომს გაეფორმებინათ აქტი და ხელახლა ჩაეტარებინათ აღნიშნული ფართობის გადახვნა, მაგრამ ეს საქმე რატომღაც 19 ოქტომბრისათვისაც არ იყო მოგვარებული.

საშემოდგომო ხვნა-თესვაში ცუდი მდგომარეობაა ჩალაუბნის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობაში. გეგმის მიხედვით აქ უნდა დასთესონ 515 ჰექტარი მარცვლეული კულტურები. აქედან კაჭრეთის მტს-მა უნდა მოხნას და დასთესოს 305 ჰექტარი. 20 ოქტომბრისათვის მტს-ის მიერ მოხნული და დათესილი იყო 44 ჰექტარი.

218 ჰექტარი უნდა მოხნას და დასთესოს კოლმეურნეობამ თავისი მუშა-პირუტყვით. ამ კოლმეურნეობას შესაძლებლობა ჰქონდა ყოველდღიურად 15 გუთანი გაეყვანა სამუშაოდ, მაგრამ სინამდვილეში 16 ოქტომბრამდე მხოლოდ 10 გუთანი მუშაობდა, დანარჩენი მუშა-საქონელი სხვა სამუშაოზე იყო გამოყენებული. 20 ოქტომბრისათვის საკუთარი ცოცხალი გამწევი ძალით კოლმეურნეობას მოხნული ჰქონდა 48 ჰექტარი, ხოლო დათესილი 39 ჰექტარი. საინტერესოა, როდის ფიქრობენ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები თესვის დამთავრებას?

არც გურჯაანისა და კაჭრეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მუშაობენ კარგად. გურჯაანის მტს-ს 15 ოქტომბრისათვის 6.510 ჰექტარის ნაცვლად მოხნული ჰქონდა მხოლოდ 3.690 ჰექტარი, ხოლო დათესილი 344 ჰექტარი.

სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო ადგილი აქვს ტრაქტორების გაცდენის შემთხვევებს. ასე, მაგალითად, 4 დღეა, რაც „სტზ" მარკის ტრაქტორი გაჩერებულია კარდანახის მინდვრებში, ერთი ნაწილის დაზიანების გამო. ამავე მიზეზით შაშიანის მინდვრებში 10 ოქტომბრიდან გაჩერებულია ერთი ტრაქტორი. გარდა ამისა, ფარნების უქონლობის გამო ყველა ტრაქტორი არ არის გადაყვანილი ღამით მუშაობაზე. ასეთივე მდგომარეობაა კაჭრეთის მტს-შიც.

რაიონში არც თესლის მხრივ არის კარგი მდგომარეობა. არაშენდის სტუროუას სახელობის, გურჯაანის ტელმანის სახელობის, ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებმა ვერ უზრუნველჰყვეს სათესლე მასალის დროზე გაწმენდა და დახარისხება. მეთესლეობის ლაბორატორიაში ამ კოლმეურნეობებმა გაუწმენდავი თესლის ნიმუში წარმოადგინეს. გამოურკვეველია აგრეთვე რაიონის სხვადასხვა კოლმეურნეობებიდან ლაბორატორიაში წარმოდგენილი 1.584 ცენტნერი თესლის ვარგისიანობა. ეს გამოწვეულია იმით, რომ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა დროზე არ წარმოადგინეს სათესლე მასალის ნიმუშები მეთესლეობის ლაბორატორიაში.

მოყვანილი ფაქტები მთელი სიცხადით მოწმობენ იმას, რომ გურჯაანის რაიონში სუსტად იბრძვიან თესვის ვადაზე და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რაიმიწგანის ცუდი მუშაობა ამ მხრივ. ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს თესვის დაწყების დღიდან თვალითაც არ უნახავთ რაიმიწგანის მუშაკები.

მ. თევზაძე

კასპის მტს-ი ცუდად ხელმძღვანელობს თესვას

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

მინდორში უპატრონოდ დგას ორი ტრაქტორი და ერთი სათესი მანქანა, იქვეა თესლით სავსე ექვსი ტომარა. ერთ ტრაქტორს თვალი აქვს გატეხილი. აქ არც ტრაქტორისტებია, არც მცველი. რამდენიმე კილომეტრზე სჩანს სოფელ ოკამის კოლმეურნეობა „განთიადი". მივდივართ იქ. საღამოს ხუთი საათია. კოლმეურნეები ჯგუფ-ჯგუფად უსაქმოდ დგანან. ვინახულეთ ტრაქტორისტი გ. სოყურაშვილი, რომელმაც გვიამბო, რომ მას თესლის უქონლობის გამო 17 და 18 ოქტომბერს თესვაზე არ უმუშავნია. ტრაქტორისტ ნ. ზანგურის დანაშაულებრივი მოქმედებით 18 ოქტომბერს თესვაზე მოსცდა ერთი ტრაქტორი. საერთოდ, თესვის დაწყებიდან ტრაქტორები ექვს დღეს მოსცდნენ. სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს ს. გურწიშვილს კი უკანასკნელ დღეებში არ შეუმოწმებია როგორ სწარმოებს თესვა. ეს ამბავი კასპის მტს-ის დირექტორის ამხ. გ. ვარძელაშვილისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა.

კოლმეურნეობა „განთიადის" ხელმძღვანელები (გამგეობის თავმჯდომარე — ი. ხაჩირაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი — გ. თარაშვილი)— თესვას ცუდად ხელმძღვანელობენ. ნაცვლად 290 ჰექტარისა აქ დათესილია 150 ჰექტარი. ი. ხაჩირაშვილმა თავისი განკარგულებით ჯერ კიდევ 6 ოქტომბერს 40 ცენტნერამდე უკონდიციო თესლი დათესა. ამ დანაშაულისათვის მისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. კოლმეურნეობაში სიმინდი ასაღებია 30 ჰექტარზე. მიუხედავად ამისა, სამუშაოზე არ გამოდიან კოლმეურნეები ევა და ლიზა ჩიტაშვილები, შაქრია და ანიჩკა თათარაშვილები, სონა პაპიაშვილი და თამარ ზანგური.

სოფელ მეტეხის კოლმეურნეობა „გლეხის იმედის" ფართობზე 17 ოქტომბერს თესვისათვის დანიშნული ტრაქტორი დროგამოშვებით მუშაობდა. ამ დღეს მხოლოდ 3 ჰექტარზე ჩატარდა თესვა. ტრაქტორი კი 16 ოქტომბერს გამოუშვეს რემონტიდან. კოლმეურნეობამ თავთავიანი კულტურები უნდა დასთესოს 215 ჰექტარზე, დათესილია მხოლოდ 51 ჰექტარი, სიმინდი აუღებელია 43 ჰექტარზე. სამუშაოზე ყოველდღიურად არ გამოდის 10 კოლმეურნე. პირველ და მეორე ბრიგადებში თესვის ხარისხს არ ამოწმებენ. ბრიგადირებმა ი. პატარქალაშვილმა და გ. ოდოშაშვილმა ისიც კი არ იციან, გეგმით რამდენი უნდა დასთესონ და რამდენია დათესილი. ასეთ მდგომარეობას ადვილად ურიგდება კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გ. ბარნაბიშვილი.

მეტეხის მეორე კოლმეურნეობაში ბრიგადირი გ. აზმაიფარაშვილი არ ამოწმებს, თუ როგორი ტემპით და როგორი ხარისხით მიმდინარეობს თესვა. ბრიგადაში შრომის დისციპლინა დაცემულია. 18 ოქტომბერს კოლმეურნეობაში სამუშაოდ არ გასულა სამი კოლმეურნე.

კასპის კოლმეურნეობა „ძმობაში" 17 ოქტომბერს თესვაზე ვერ იმუშავა ი. გეჯაძის ტრაქტორმა. მტს-ის მუშაკები ტრაქტორისტს შეჰპირდნენ მაგიერ ტრაქტორს მოგცემთო, მაგრამ დაპირება 18 ოქტომბერსაც არ იყო შესრულებული. ამ კოლმეურნეობაში თესვაზე მუშაობს აგრეთვე ტრაქტორისტი გ. გოდერძიშვილი. მას 13, 14 და 15 ოქტომბერს კოლმეურნეობამ დამხმარეები არ მისცა. ტრაქტორისტს თვითონ უხდებოდა დიდ მანძილიდან წყლის და საწვავის ზიდვა. ამიტომ სამი დღის განმავლობაში მან მხოლოდ 18 ჰექტარი დასთესა, კარგი მომსახურების პირობებში კი 33 ჰექტარის დათესვა შეეძლო.

კასპის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში 15 ოქტომბრისათვის დათესილი იყო 400 ჰექტარი, გეგმით კი 1.470 ჰექტარი უნდა დაითესოს.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ კასპის მტს-ი ჯერჯერობით ცუდად ხელმძღვანელობს საშემოდგომო თესვას.

ს. ყურაშვილი

სომხური ხელოვნების დეკადა

დღეს მოსკოვში იწყება სომხური ხელოვნების დეკადა. საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ნაციონალური ხელოვნების პერიოდული დათვალიერება საუცხოო ტრადიცია გახდა. ეს დათვალიერება მუდამ იქცევა საბჭოთა კულტურის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებათა გრანდიოზულ დემონსტრაციად.

დიადი სტალინური კონსტიტუცია უზრუნველჰყოფს ყოველმხრივ განვითარებას ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისათვის: ნორჩი, ისტორიის ასპარეზზე სულ ახლახან გამოსული ხალხებისთვისაც და უძველესი კულტურის ხალხებისთვისაც, რომლებმაც ათასწლოვანი ისტორიული გზა განვლეს. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის სომეხი ხალხი თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურითურთ, ხალხი, რომელმაც თავისი ისტორიული ცხოვრება ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო.

სომეხი ხალხი დაიქანცა ურიცხვ ბრძოლებში. ზღაპრული ფენიქსის მსგავსად, იგი აღორძინდებოდა ხოლმე ფერფლიდან, ალიდან, რომელიც, თითქოს, იმუქრებოდა მისი არსებობის თვით ნიშანწყლის მოსპობით. ძველი ტაძრები და სასახლეები ნანგრევებად იყარა, ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა მთელი დედამიწის ზურგზე იფანტებოდა. მშობლიურ ქვეყანაში სომხური მეტყველება სდუმდა... მაგრამ კვლავ და კვლავ აღორძინდებოდა ძველი კულტურა, ენით უთქმელი სიმშვენიერით ელვარებდა სომხური პოეზია და მუსიკა, ახალი ფერადებით ბრწყინავდა ფერწერა. და დაუცხრომლად მუშაობდნენ ბრძენნი - სწავლულნი, აღადგენდნენ დაკარგულს, აგროვებდნენ ხალხის ისტორიის გაბნეულ ფურცლებსა და კაბადონებს.

სომხეთის უახლესი ისტორია თვით დიდ სოციალისტურ რევოლუციამდე ძველზე უფრო ტრაგიკული იყო. „სომხეთა საკითხით" საზიზღრად ეწეოდნენ სპეკულაციას ევროპელი იმპერიალისტები. ისინი ნიანგის ცრემლებსა ღვრიდნენ სომეხთა გაჭირვებული მდგომარეობის გამო, როდესაც მათთვის საჭირო იყო ოტომანთა იმპერიასთან ანგარიშების გასწორება. მაგრამ ისინი სრულ გულგრილობას იჩენდნენ ყოველთვის, როდესაც სულთანის მთავრობა, თავისი საგარეო და საშინაო მარცხებით გაცოფებული, მუსრს ავლებდა უიარაღო სომეხ მოსახლეობას. 100 ათასი კაცი— მათ შორის ქალები და ბავშვები— დაიღუპა 1895 წლის საშინელი ჟლეტის დროს.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ყოველ ახალ „ჩარევას" მოსდევდა ახალი საშინელი უბედურებანი სომეხებისათვის. ასეთი „ჩარევისა" და დაშნაკთა გამცემლური საქმიანობის შედეგად 1914 წელს უმაგალითო ჟლეტა იქნა მოწყობილი. მოკლულ იქნა 300 ათასი კაცი და ამდენივე დაიღუპა შიმშილისა და ავადმყოფობისაგან მესოპოტამიაში გადასახლების დროს.

დაშნაკთა სომხეთის რესპუბლიკა, რომელიც 1918 წელს შეიქმნა, იმპერიალისტთა ხელში ისეთსავე სათამაშოს წარმოადგენდა, როგორც მენშევიკური საქართველო და მუსავატისტური აზერბაიჯანი.

საერთაშორისო კაპიტალის ერთგულმა ლაქიებმა—დაშნაკებმა სომხეთში მხეცური ტერორის რეჟიმი დაამყარეს. დაშნაკი მაუზერისტები დაუზოგავად ავლებდნენ მუსრს მშრომელებს, ახშობდნენ ყოველ ცოცხალ აზრს, თუნდაც მორიდებული პროტესტის ყოველგვარ ცდას. თავიანთი ბატონ-პატრონების კარნახით დაშნაკურმა სომხეთმა, მენშევიკურმა საქართველომ და მუსავატისტურმა აზერბაიჯანმა ერთმანეთთან სისხლისმღვრელი ბრძოლა გააჩაღეს. მხოლოდ დაშნაკური მთავრობის დამხობამ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ 1920 წლის ნოემბერში იხსნა სომეხი ხალხი საბოლოო ამოხოცვისაგან. სომეხი ხალხის წინაშე მთელი მისი ისტორიის მანძილზე პირველად გადაიშალა ფართო, ნათელი გზა მომავლისაკენ.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო ამხანაგი სტალინი სწერდა:

„სომხეთმა, განაწამებმა და მრავალტანჯულმა, ანტანტისა და დაშნაკების წყალობით შიმშილის, აოხრებისა და ლტოლვილობის კერძად ქცეულმა,—ამ, ყველა „მეგობრის" მიერ მოტყუებულმა სომხეთმა ახლა ხსნა იმაში ჰპოვა, რომ თავისი თავი საბჭოთა ქვეყნად გამოაცხადა. ვერც ინგლისის, სომხეთა ინტერესების „საუკუნეობრივი დამცველის" ცრუ დაპირებებმა, ვერც ვილსონის ქებულმა 14 პუნქტმა, ვერც ერთა ლიგის მაღალფარდოვანმა აღთქმამ სომხეთის მართვა-გამგეობაზე მისი „მანდატითურთ" ვერ შესძლეს (და არც შეეძლოთ!) ეხსნათ სომხეთი გაჟლეტისა და ფიზიკური ამოწყვეტისაგან, — მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების იდეამ მისცა სომხეთს მშვიდობიანობა და ნაციონალური განახლების შესაძლებლობა... დაე იცოდეს ყველამ, ვისაც მართებს იცოდეს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო გადაეწყვიტა სომხეთა ეგრეთწოდებული „პრობლემა", რომელზედაც იმპერიალისტური დიპლომატიის ნაცადი მგლები ამაოდ იმტვრევდნენ თავს.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!"

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!— ვიძახით ჩვენ დღეს, სომხეთის სს რესპუბლიკის გიგანტური ეკონომიური და კულტურული ზრდით აღტაცებულნი. ძველ სომხეთს სრულიად არ ჰქონდა მრეწველობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ნახევრად - შინამრეწველურ საწარმოს. ახალ, საბჭოთა სომხეთს კი უკვე აქვს ნამდვილი ინდუსტრია, რომელიც სწრაფად ვითარდება.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ამუშავებულ იქნა 25-ზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო.

წინათ ძველ სომხეთში მხოლოდ აქა-იქ ბჟუტავდა მქრქალი ელნათურები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სომხეთისათვის თითქმის უცნობი იყო ელექტრობა. საბჭოთა სომხეთში კი აგებულია 40-მდე ელექტროსადგური, ელნათურების კაშკაშა შუქით განათებულია მშრომელთა სახლები, საზოგადოებრივი შენობები, ქუჩები და მოედნები.

ჰყვავის სომხეთის სოფლის მეურნეობა. 18 წლის წინათ სომხეთის ნათესი ფართობი ძლივს აღწევდა 82 ათას ჰექტარს. ამჟამად სომხეთის სს რესპუბლიკის 1.081 კოლმეურნეობას აქვს დაახლოებით 450 ათასი ჰექტარი ნათესი ფართობი, საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობს 1.389 ტრაქტორი, 185 კომბაინი, მრავალი ავტომანქანა. ოქროსფერი ღვინო მოდის სომხეთის ვენახებში, ხორბალი, ბამბა, კარტოფილი ხარობს მის მინდვრებში, ნაყოფით დახუნძლული ხეხილი იზნიქება ბაღებში.

გაანადგურეს რა ხალხის საზიზღარი მტრები, დაშნაკთა ნაბოლარები—ბურჟუაზიული ნაციონალისტები, ტროცკისტ-ბუხარინელთა ნაძირალები,—სომხეთის ბოლშევიკებმა საკ. კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ღირსშესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

სომხეთი წერა-კითხვის საყოველთაო მცოდნეობის ქვეყანა ხდება. ათობით უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები, 1.176 სკოლა მუშაობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 250 ათასამდე ბავშვი ყოველდღე უზის მერხებს სომხეთის სს რესპუბლიკის სკოლათა ფართო და ნათელ კლასებში.

ახდა სომეხ ხალხის ოცნება. ხალხის მასებში დაგროვილმა მძლავრმა ძალებმა ჰპოვეს გამოსავალი და გამოყენება. მზრუნველობით იცავს რა წარსულის კლასიკური ხელოვნების ძეგლებს, სომეხი ხალხი ჰქმნის ახალ საუცხოო ხელოვნებას.

ნაციონალისტური ბურჟუაზია თავისი ბატონობის პერიოდში ჰქელავდა და ახშობდა ხალხის კულტურას. მუსიკა, თეატრი, მხატვრობა, მოქანდაკეობა, ლიტერატურა და პოეზია საცოდავ მდგომარეობაში იყო.

და აი იმ ქვეყანაში, რომელსაც წინათ მუდმივი ეროვნული თეატრი სრულიად არ ჰქონდა, 19 წლის განმავლობაში შეიქმნა 25 სახელმწიფო თეატრი, მათ შორის არა მარტო ქალაქის, არამედ საკოლმეურნეო თეატრებიც. განა შეეძლო წინათ ღატაკსა და დამშეულ სომხურ სოფელს ეფიქრნა თეატრალურ ხელოვნებაზე?

სომხეთის საოპერო თეატრი დრამატიულ თეატრზე უფრო ნორჩია, მაგრამ თავისი შემადგენლობითა და რეპერტუარით მოკლე ხანში მან თვალსაჩინო ადგილი დაიკავა მოძმე რესპუბლიკების საოპერო თეატრებს შორის. უფროსი თაობის გამოჩენილი სომეხი კომპოზიტორების სპენდიაროვისა და ტიგრანიანის ოპერები ახალგაზრდა კომპოზიტორების სტეპანიანისა და ხაჩატურიანის ნაწარმოებებთან ერთად იდგმება ამ თეატრში.

სომხეთის ფილარმონიას ჰყავს ხალხური ინსტრუმენტების საუცხოო ორკესტრი 50 არტისტის შემადგენლობით და საგუნდო კაპელა 90 კაცის შემადგენლობით. კომიტასის სახელობის კვარტეტს მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელები იცნობენ და იგი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კამერული ანსამბლების რიცხვს ეკუთვნის. უდიდეს გაქანებას მიაღწია მუსიკალურმა თვითმოქმედებამ: სომხეთში 400-ზე მეტი საგუნდო და მუსიკალური წრეა. უჭკნობია ხალხური მომღერლების—აშუღების, დიდი აშუღის საიათნოვას ღირსეული მემკვიდრეების შთაგონებული ხელოვნება.

ამაო იქნებოდა იმის ცდა, რომ ჩამოგვეთვალა აქ სომხური ხელოვნების ყველა ბრწყინვალე ოსტატი. ისინი მრავალნი არიან და დღითიდღე უფრო მატულობენ. ჭეშმარიტად საუცხოოა საბჭოთა სომხეთის ხელოვნების აყვავება. დიადი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა ამაყობს თავისი მოძმე მშვენიერი სომხეთით.

დიდება სომეხ ხალხს! დიდება მის დიად ხელოვნებას! დიდება და სალამი საბჭოთა სომხეთის ხელოვნების მუშაკებს.

„პრავდის" მოწინავე, 20/X.

სომხური ხელოვნების დეკადა მოსკოვში. სურათზე: მსახიობები ტ. საზანდარიანი (მარცხნივ) ალმასტის როლში და ა. ანანიანი გაიანეს როლში (ა. ა. სპენდიაროვის ოპერა „ალმასტი").

ფოტო ა. იოსელევიჩის (საკდესის ფოტოკლიშე).

სომხური ხელოვნების დეკადა მოსკოვში

დიდი წარმატებების დემონსტრაცია

სომხური ხელოვნების დეკადა მოსკოვში დიდი დემონსტრაციაა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებისა, დიდი საბჭოთა კავშირის პატარა ერების აყვავებისა სახელოვანი კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ. სტალინური მზრუნველობის, ბოლშევიკური ხელმძღვანელობის შედეგად მოძმე სომხეთის ხალხური შემოქმედება უმაღლეს საფეხურებზე ავიდა. გაძვალტყავებულმა, მრავალტანჯულმა ხალხმა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე სისხლის მორევში ცურავდა, საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ მტკიცედ მოჰკიდა ხელი მშვიდობიან ცხოვრებას და საყვარელი მასწავლებლის, ხალხთა მეგობრის დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით სსრ კავშირის მოწინავე რესპუბლიკების რიგებში ჩადგა.

სომხური ხელოვნების დეკადა მოსკოვში — ეს არის სომხეთის ხელოვნების მუშაკთა მიღწევების გენერალური დათვალიერება. მოსკოვი მსოფლიოს მოწინავე კულტურის ცენტრია. სომხეთის ხელოვნების მუშაკები წარსდგებიან ბელადისა და მისი შესანიშნავი თანამებრძოლების წინაშე, მოსკოვის მშრომელთა წინაშე. ეს იქნება მათი ნამდვილი დღესასწაული. ვუსურვებთ მოძმე რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატებს დიდ წარმატებებს.

აკაკი ხორავა.
სსრკ სახალხო არტისტი, ორდენოსანი.

სომხური ხელოვნების დღესასწაული

ჩვენი მოძმე რესპუბლიკის — საბჭოთა სომხეთის ხალხს მრავალსაუკუნოვანი კულტურა აქვს. ამ კულტურის შესანიშნავი წარმომადგენლები იყვნენ მწერალი ო. თუმანიანი, კომპოზიტორი სპენდიაროვი, ხალხური სიმღერების შემკრები და დიდი მუსიკოსი კომიტასი, რომლის შემოქმედება ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. სომხეთს მრავალი ნიჭიერი მსახიობი ჰყავდა, მაგრამ ისინი გაფანტული იყვნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. ცნობილია სომეხი მსახიობები პაპაიანი, ნალბანდიანი, კოსტანიანი, ამირჯანი, აგრეთვე თბილისის მაყურებლისათვის კარგად ცნობილი დანელიანი და ისეცკი.

სომეხი ხალხის შემოქმედებამ ფრთები ახლა, ბედნიერ სტალინურ ეპოქაში გაშალა. რაღაც 6-7 წლის განმავლობაში სომხეთის ხელოვნებამ შექმნა დიდი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებნი, საკუთარი დრამატიული და საოპერო თეატრები. მთელი ამ მიღწევების დაგვირგვინებაა სომხეთის ხელოვნების დეკადა მოსკოვში.

მხურვალედ მივესალმები მოძმე სომხეთის ხელოვნების მუშაკებს, დეკადის მონაწილეებს და, დარწმუნებული მათ დიდ მხატვრულ შესაძლებლობაში, ვუსურვებ ბრწყინვალე გამარჯვებას.

ა. ჭუჭუნავა.
ორდენოსანი-რეჟისორი.

ვუსურვებ წარმატებებს

სომხეთის ხელოვნების დეკადა მოსკოვში ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ როგორ აღორძინდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მოძმე ხალხის კულტურა. სომეხმა ხალხმა შეჰქმნა საკუთარი ოპერები, ბალეტი, შესანიშნავი ანსამბლები. სომხეთის ხელოვნების სახელოვანი ოსტატები წითელი დედაქალაქის მშრომელებს უჩვენებენ თავის დიდ მიღწევებს. ეს მიღწევები, დარწმუნებული ვარ, სათანადოდ იქნება შეფასებული მოსკოვის მშრომელების მიერ.

გულწრფელი სიხარულით მივესალმები მოძმე სომხეთის ხელოვნების მუშაკებს და ვუსურვებ ბრწყინვალე წარმატებებს.

შ. აზმაიფარაშვილი.
ორდენოსანი დირიჟორი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

დიდი სახალხო ზეიმი

დიდი სიხარულით ვეგებები მოძმე სომხეთის ხელოვნების დეკადას მოსკოვში. სომეხ ხალხს, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი კულტურა აქვს, რომელმაც ნიჭიერი შემოქმედნი წარმოშვა, უწინ საშუალება არ ჰქონდა ფართოდ გაეშალა თავისი შემოქმედებითი ნიჭი. მხოლოდ საბჭოთა წესწყობილების დროს ლენინ-სტალინის პარტიის მზრუნველობის შედეგად, საყვარელი ბელადის ბრძნული ხელმძღვანელობით გაიფურჩქნა ხალხის ნიჭი, შემოქმედება.

სომხური ხელოვნების დეკადა სწორედ იმ დროს იმართება მოსკოვში, როცა საბჭოთა კავშირმა მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა ჭეშმარიტი ზრუნვა ხალხთა ბედნიერებაზე. პოლონეთის პანებისაგან დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის ხალხის განთავისუფლებასთან ერთად, ლიტვის ერისათვის დედაქალაქის — ვილნოს გადაცემასა და ბალტიის პატარა სახელმწიფოთა დასაცავად ქმედითი ღონისძიებების გატარებასთან ერთად, ეს დეკადა მთელი მსოფლიოს მშრომელებს უჩვენებს, რომ სოციალიზმის ქვეყანა ერთადერთია, რომლის წიაღში ნამდვილ თავისუფლებას, თავისი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქნას პოულობს ყოველი ერი.

მე მხურვალედ მივესალმები სომხური ხელოვნების ოსტატებს და ვუსურვებ მათ ბრწყინვალე, დამსახურებულ წარმატებებს.

ლილი გვარამაძე.
ორდენოსანი.

შესანიშნავი ქორეოგრაფები

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მოძმე სომხეთის რესპუბლიკაში დიდად განვითარდა ქორეოგრაფია. იგი ხელოვნების მნიშვნელოვან დარგად გადაიქცა. ყველას ახსოვს ამიერ-კავკასიის ხალხური შემოქმედების ოლიმპიადებზე სომეხ შემსრულებელთა მაღალი ოსტატობა. უკანასკნელ წლებში ძლიერ განვითარდა აგრეთვე ბალეტი. სომხური ხელოვნების დეკადის დროს მოსკოვში ნაჩვენები იქნება ახალი ბალეტი „ბედნიერება". იგი ასახავს სომეხი ხალხის ბედნიერ და საამურ ცხოვრებას და თავისი შინაარსით ეხმატკბილება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის განწყობილებას.

ხელოვნების ამ ჟანრის — ქორეოგრაფიის წინაშე დიდი პერსპექტივებია. დეკადა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მის განვითარებას.

ვუსურვებთ სომხური ხელოვნების ოსტატებს ბრწყინვალე წარმატებებს მოსკოვის დეკადაზე. ეს წარმატებანი ახარებს არა მარტო სომხეთის ხალხს, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს.

დ. ჯავრიშვილი.
ორდენოსანი.

გამოცემანი სომხური ხელოვნების დეკადისათვის

სახელმწიფო გამომცემლობა „ხელოვნებამ" სომხური ხელოვნების დეკადისათვის გამოსცა საოპერო სპექტაკლების „ალმასტისა" და „ანუშისადმი" მიძღვნილი კრებულები. თვითეულ წიგნში მოთავსებულია ოპერის „ლიბრეტოს" ტექსტი რუსულ ენაზე ლექსად, აგრეთვე სტატიები ამ ნაწარმოებთა ავტორებისა და მათი დადგმის შესახებ.

გამოდის აგრეთვე ოპერა „ლუსაბაცინისა" და ბალეტ „ბედნიერებისადმი" მიძღვნილი კრებულები. გარდა ამისა, მასობრივი ტირაჟით გამოიცა ყველა სპექტაკლის მხატვრულად გაფორმებული მოკლე ლიბრეტო. (საკდესი).

ბალტიისპირა ქვეყნებში ინგლისის პოლიტიკის შესახებ

ბერლინი, 18 ოქტომბერი (საქდესი). „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგმა" მოათავსა მოწინავე სტატია, რომელიც ეხება ინგლისის პოლიტიკას ბალტიისპირა ქვეყნებში. გაზეთი სწერს, რომ 1925 წელს ინგლისის მსხვილი საზღვაო შენაერთები, რომლებიც „თავაზიანობის ვიზიტით" გაემგზავრნენ დანიასა და შვეციაში, ესტონეთის ნავსადგურებს ეწვივნენ. უფრო ადრე ინგლისში ეზელისა და დაგოს კუნძულების შესახებ ისეთ აზრს გამოსთქვამდნენ, რომელიც მოწმობდა, რომ ინგლისელებს განზრახვა ჰქონდათ მეორე გიბრალტარი შეექმნათ ბალტიის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. მაშინვე გამოირკვა, რომ ინგლისელთა საზოგადოებებს ტალინის მიდამოებში 30.000 ჰექტარი მიწა ეყიდნათ. ინგლისი ესტონეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდა მისთვის ორივე კუნძულის დათმობის შესახებ, ხოლო 1925 წელს ბალტიის ზღვაში ინგლისის გემების ჩასვლა უშუალოდ იყო ამასთან დაკავშირებული. ინგლისელთა ცდები უშედეგო გამოდგა. მაგრამ,— აღნიშნავს გაზეთი, — ინგლისს ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია ბალტიისპირა ქვეყნებში დამკვიდრების ცდა.

ბალტიისპირა ქვეყნების მისამხრობად ინგლისი იყენებდა თავის ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას. ლონდონი განსაკუთრებით ინტენსიურად ანვითარებდა ეკონომიურ ურთიერთობას. იძლეოდა კრედიტს, სესხს, რომლის საფუძველზეც აწვდიდა, უმთავრესად, მანქანებს, რკინიგზის მოწყობილობას, გემებსა და თვითმფრინავებს. ინგლისი საქონლის ფასებს უკარნახებდა ლატვიას. მან ლატვიას თავს მოახვია შეიარაღების საგნები. ლატვია იძულებული იყო დიდი შეკვეთები მიეცა ინგლისური ფირმებისათვის, ინგლისის მთავრობამ კი ამ შეკვეთების დაფინანსების გარანტირება იკისრა. ლონდონი, —სწერს შემდეგ გაზეთი, მიისწრაფოდა შეექმნა ბალტიის სახელმწიფოთა და პოლონეთის ბლოკი და დაეპირისპირებინა იგი დიდი სახელმწიფოებისათვის — გერმანიისა და რუსეთისათვის. ეს მან ვერ მოახერხა.

სსრ კავშირსა და ბალტიის სახელმწიფოებს შორის ხელშეკრულებათა დადების შემდეგ, — აბოლოებს გაზეთი, — ინგლისის ამ ცდებმა სრული მარცხი განიცადა. ბალტიის აუზში შექმნილია ახალი მდგომარეობა. მხოლოდდამხოლოდ ბალტიისპირა ქვეყნების ხალხებს აქვთ უფლება გადასწყვიტონ ბალტიის ზღვასთან დაკავშირებული საკითხები.

ესტონეთის პრესა ესტონეთში საბჭოთა კავშირის ჯარის ჩასვლის შესახებ

ტალინი, 19 ოქტომბერი (საქდესი). ესტონეთის გაზეთები იუწყებიან, რომ იქ ჩავიდა საბჭოთა კავშირის ჯარი და აღნიშნავენ საბჭოთა კავშირისა და ესტონეთის სამხედრო წარმომადგენლების შეხვედრის მეგობრულ ხასიათს.

მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს წითელი არმიის ნაწილებისადმი.

კამათი თემთა პალატაში

ლონდონი, 19 ოქტომბერი (საქდესი). გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" იუწყება, რომ 16 ოქტომბერს თემთა პალატაში გაიმართა კამათი დახმარების რაოდენობის შესახებ იმ ჯარისკაცთა ოჯახებისათვის, რომლებიც არმიაში იმყოფებიან და აგრეთვე იმ ჯარისკაცებისათვის, რომელთაც შრომის უნარი დაჰკარგეს. ყველა პარტიის წარმომადგენელი მკაცრად აკრიტიკებდა მთავრობის ღონისძიებას ამ საკითხში.

ლეიბორისტმა ვილიამსმა განაცხადა, რომ არ შეიძლება საფრანგეთში მყოფმა ჯარისკაცებმა ბედნიერად იგრძნონ თავი, როცა იციან, რომ მათი ცოლები და ბავშვები იძულებულნი არიან საქველმოქმედო დახმარებას მიმართონ. დახმარების რაოდენობა სავსებით უნარმოკლებულ ცოლიან და ოთხშვილიან ჯარისკაცისათვის უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს იყო 1914-18 წლის ომის დროს.

უპასუხებდა რა დეპუტატებს ფინანსთა სამინისტროს სახელით, კრუკშენკმა განაცხადა, ყველა ის საკითხი, რომლის შესახებ დღეს აქ იყო ლაპარაკი, გულდასმით იქნება განხილული, მაგრამ დაპირება არ მიუცია თემთა პალატისათვის რაიმე დათმობის შესახებ, რის გამო კამათი კვლავ განახლდა. კონსერვატორების წარმომადგენელმა ქალმა ლედი ასტორმა ბავშვებისათვის დაწესებული დახმარება დაახასიათა როგორც „აუტანელი". ლეიბორისტმა ლოუსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კამათს მთავრობის არც ერთი წარმომადგენელი არ დასწრებია. კონსერვატორების წარმომადგენელმა ტეიტმა მწუხარება გამოსთქვა კრუკშენკის განცხადებისა და ამ საკითხისადმი მთავრობის დამოკიდებულების გამო. „მთავრობას, — აღნიშნა მან, —მისი საკუთარი პარტიის არც ერთმა წევრმა არ დაუჭირა მხარი. ეს იმას მოწმობს, რომ საერთოდ შეუძლებელია ამგვარი დახმარების დაცვა".

კომუნისტთა დევნა საფრანგეთში

ბრიუსელი, 19 ოქტომბერი (საქდესი). საფრანგეთში გაძლიერდა კომუნისტთა დევნა. 17 ოქტომბრის გაზეთი „ტანი" იუწყება, რომ ქალაქ გრენობლის სსრ კავშირის მეგობართა საზოგადოების ხელმძღვანელს ჟან ფონტბონს ორი წლის პატიმრობა მიუსაჯეს „საავანყეო ხასიათის გამოსვლისათვის".

იგივე გაზეთი იუწყება, რომ გრენობლის მერმა განკარგულება გასცა დახურონ შრომის ბირჟა იმის გამო, რომ ვითომდა იგი მრავალრიცხოვან კომუნისტ მუშათა კრებების ადგილს წარმოადგენდა.

გაზეთი „ევრი" სწერს, რომ შრომის სამინისტრომ, როგორც სჩანს, იმავე საბაბით გააუქმა პარიზის შრომის ბირჟის ადმინისტრატიული კომისიის არჩევნები.

„ჟურნალ ოფისიელი" აქვეყნებს დეკრეტს, რომლის მიხედვითაც დათხოვნილია 17 ახალი მუნიციპალიტეტი, რომლებშიც ყველა მრჩეველი კომუნისტი იყო.

O

რომი, 19 ოქტომბერი (საქდესი). როგორც სტეფანის სააგენტო იუწყება, პარიზის შრომის ბირჟამ გადასწყვიტა ამოშალოს ყველა კომუნისტი სენის დეპარტამენტის უმუშევართა სიებში.

თურქეთსა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერა

ანკარა, 19 ოქტომბერი (საქდესი). დღეს თურქეთსა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის ხელმოწერილ იქნა ურთიერთდახმარების ხელშეკრულება.

უმუშევრობის ზრდა საფრანგეთში

პარიზი, 18 ოქტომბერი (საქდესი). როგორც გაზეთი „მატენი" იუწყება, უმუშევართა რაოდენობა საფრანგეთში, მიუხედავად მობილიზაციისა, სექტემბრის თვის განმავლობაში 303 ათასიდან 316.500 კაცამდე გაიზარდა.

რუზველტის განცხადება

ვაშინგტონი, 19 ოქტომბერი (საქდესი). ნეიტრალიტეტის კანონის მერვე კარის საფუძველზე რუზველტმა განაცხადა, რომ მეომარი ქვეყნების წყალქვეშა ნავებს ეკრძალებათ ამერიკის შეერთებული შტატების ნავსადგურებსა და ტერიტორიულ წყლებში შესვლა, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ისინი იძულებული იქნებიან შევიდნენ იქ „გადაულახავი ძალების" ზეგავლენით. რუზველტმა შემდეგ განაცხადა, რომ ეს ღონისძიება მიზნად ისახავს „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანობის შენარჩუნებას, ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ინტერესების დაცვას, აგრეთვე ამერიკის უშიშროების გაძლიერებას".

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, რამდენიმე დღის წინათ ასეთივე განცხადება გამოაქვეყნა ბრაზილიის მთავრობამ. ზოგიერთი მიმომხილველი ფიქრობს, რომ ლათინური ამერიკის დანარჩენი ქვეყნებიც ასეთსავე გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ზეტლენდის სიტყვა

ლონდონი, 19 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინდოეთისა და ბირმის საქმეთა მინისტრმა ზეტლენდმა ლორდთა პალატაში განაცხადა, რომ ამჟამად ინდოეთს სურს შექმნას თვითმმართველობა დემოკრატიულ საფუძველზე. მოაგონა რა პალატას ინგლისის მთავრობის დაპირება — საბოლოო ანგარიშით დომინიონის სტატუტი შეჰქმნას ინდოეთისათვის, ზეტლენდმა სთქვა, რომ „ამ მიზანზე ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს უარი და არც გვაქვს განზრახვა უარი ვთქვათ".

ინდოეთის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ზეტლენდმა განაცხადა, რომ ასეთ ღონისძიებებს საზოგადოებრივად არ იხილავენ, თუმცა მთავრობის გეგმები ამ საკითხზე ეცნობებათ ინდოეთის დიდი პოლიტიკური პარტიების ლიდერებსა და საკანონმდებლო კრებას.

ზეტლენდი შეეხო ლინლითგოუს განცხადებაში ხსენებული სათათბირო ორგანოს შექმნის წინადადებას და განაცხადა, რომ სათათბირო ორგანიზაციის წევრებს შეარჩევს ინდოეთის მეფის მოადგილე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების კანდიდატებში.

ნერუს გამოსვლა

ლონდონი, 19 ოქტომბერი (საქდესი). ინგლისის მთავრობის განცხადებასთან დაკავშირებით, თუ რა აქვს განზრახული მას ინდოეთის მიმართ, ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ყოფილმა თავმჯდომარემ და ამ კონგრესის მარცხენა ფრთის ლიდერმა ჯავაჰარლალ ნერუმ გაზეთ „ნიუს ქრონიკლს" შემდეგი განცხადება გაუგზავნა: „ინგლისის მთავრობის პასუხი ინდოეთის ნაციონალური კონგრესის წინადადებაზე— გაეკეთებინა განცხადება იმის შესახებ, თუ რა მიზნებს ისახავს ინგლისი ახლანდელს ომში, დემოკრატიის უარყოფას წარმოადგენს. ინგლისის მთავრობამ არ მიიღო ჩვენ მიერ გაწვდილი ხელი და სავსებით ცხადი გაჰხადა, რომ იგი ომს აწარმოებს იმპერიისა და იმპერიალიზმის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. თუ ეს არის ომის მიზანი, ინდოეთს არ შეუძლია მხარი დაუჭიროს იმ ავანტიურას, რომლის მიზანიც არის მონობაში იყოლიოს ინდოეთი და სხვა ქვეყნები. ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ ინგლისელი ხალხი ეთანხმებოდეს ამ იმპერიალისტურ მიზანს". ინგლისის მთავრობის წინადადების საპასუხოდ, განაცხადა დასასრულ ნერუმ, — ინდოეთი გადაჭრით ამბობს „არა".

ბოსი და განდი ლინლითგოუს განცხადების შესახებ

ლონდონი, 19 ოქტომბერი (საქდესი). ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ყოფილმა თავმჯდომარემ სუბხა ჩანდრა ბოსმა კომენტარი გაუკეთა ლინლითგოუს განცხადებას და სთქვა: „მეფის მოადგილის განცხადება ადასტურებს ჩვენს წინასწარმეტყველებას. იგი სავსებით ამართლებს იმ პოზიციას, რომელსაც ჩვენ თანმიმდევრულად ვადგევართ. იმედი მაქვს, რომ ვინც სცდება და ოქროს საუკუნის დაწყებას მოელის, ახლა გაიზიარებს ჩვენს თვალსაზრისს და შემოგვიერთდება".

რეიტერის სააგენტოს ცნობით, განდიმ ილაპარაკა ლინლითგოუს განცხადების შესახებ და აღნიშნა, რომ ეს განცხადება „მეტად იმედის გამცრუებელია". „უკეთესი იქნებოდა, —განაგრძო განდიმ, — რომ ინგლისის მთავრობას უარი ეთქვა რაიმე დეკლარაციის გაკეთებაზე. მეფის მოადგილის ვრცელი განცხადება აშკარად მოწმობს, რომ ინგლისი კვლავ ძველ პოლიტიკას განაგრძობს -- „გაჰყავი და იბატონე". რამდენადაც მესმის, კონგრესმა არ მიიღო წინადადება ინგლისის მომხრე ვამხდარიყო გერმანიის წინაამდეგ გამართულ ომში. ჩვენ გვპირდებიან, რომ მრგვალი მაგიდის შემდგომს კონფერენციას მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ მოიწვევენ. წინა კონფერენციის მსგავსად მასაც ჩაშლა მოელის. კონგრესი პურს მოითხოვს და ქვას კი აძლევენ".

კომუნისტთა დევნა ბელგიაში

ბრიუსელი, 19 ოქტომბერი (საქდესი). ბელგიაში გრძელდება კომუნისტთა დევნა. ამ დღეებში პოლიციამ დააპატიმრა კომუნისტი სოვერი იმისათვის, რომ მან ჯარისკაცს მიჰყიდა ლეგალური გაზეთი „ვუა დიუ პეპლი". სოვერი საპატიმროში მოათავსეს.

ლიეჟში დააპატიმრეს 2 ჯარისკაცი მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი შევიდნენ კაფეში, სადაც ამ დროს რამდენიმე კომუნისტი იმყოფებოდა. კომუნისტებს სრულიად უმიზეზოდ აპატიმრებენ. ამას წინათ დაპატიმრებულ გაზეთ „ვუა დიუ პეპლის" რედაქტორი კონენი პროკურატურამ გაანთავისუფლა, ვინაიდან მან ვერ შესძლო მისთვის რაიმე ბრალდების წაყენება.

ამ დევნასთან დაკავშირებით, კომუნისტმა დეპუტატმა ლიაომ პარლამენტში სათანადო შეკითხვა შეიტანა.

ინგლისის გემ „იორკშირის" დაღუპვა

პარიზი, 19 ოქტომბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ დღეს ჩაძირულ იქნა ინგლისის გემი „იორკშირი" 10.000 ტონა წყალწყვისა.

O

ლონდონი, 19 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკის გემის მიერ გადარჩენილ 300 კაცის შემადგენლობაში შედიან არა მარტო გემ „სიტი ოფ მენდლის", არამედ აგრეთვე ინგლისის გემ „იორკშირის" ეკიპაჟი და მგზავრები.

სომხური ხელოვნების დეკადა მოსკოვში. **სურათზე:** სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, დამსახურებული არტისტი ა. დანიელიანი ანუშის როლში (ოპერა „ანუში").

ფოტო რუშანიანისა (საქდესის ფოტოკლიშე)

სომხური ხელოვნების დეკადა. **სურათზე:** სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი შ. ტალიანი მწყემს საროს როლში (ოპერა „ანუში")

ფოტო რუშანიანისა (საქდესის ფოტოკლიშე).

ლენინისა და სტალინის ოთახები კულტურის რაიონულ სახლებში

საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისარიატი კულტურის რაიონულ სახლებში აწყობს საჩვენებელ ოთახებს, სადაც გამოფენილი იქნება ფოტოგრაფიები და დოკუმენტები პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადების **ლენინისა** და **სტალინის** ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. ამ ოთახებისათვის შერჩეულ საბუთებს შორის არის: **ლენინისა** და **სტალინის** ხელნაწერთა პირები, რუკები, დიოგრამები და სხვ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მხატვარ ასტახიშვილის მიერ აბრეშუმზე შესანიშნავად შესრულებული რუკები. ერთი მათგანი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს საქართველოს იმ ადგილებს, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა ამხანაგი **სტალინი**. მეორეზე გავლებულია ხაზები და წრეები, რომლებიც გამოხატავენ იმ ადგილებს, სადაც მეფის სატრაპების მიერ გადასახლებული იყო დიდი **სტალინი** და საიდანაც იგი არაერთგზის გამოქცეულა.

ამ დღეებში აბაშის კულტურის სახლში გაიხსნება **ლენინისა** და **სტალინის** პირველი საჩვენებელი ოთახი. მთავრდება ასეთივე ოთახების მოწყობა ქუთაისში, ბორჯომში, ფოთში და ახალქალაქში.

ოთახების მომსახურებისათვის ამზადებენ ექსკურსიის კვალიფიციურ ხელმძღვანელებს, რომელთაც სპეციალური მომზადება მიიღეს ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალთან. (საქდესი).

მარსის მოახლოვება დედამიწასთან

აბასთუმნის ობსერვატორია ღებულობს დიდძალ შეკითხვებს მოსწავლეებისა, მასწავლებლებისა და კოლმეურნეებისაგან იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს „ის ბრწყინვალე წითელი ვარსკვლავი", რომელიც სჩანს სამხრეთის ცაზე ამ უკანასკნელ თვეებში.

მართლაც, ცის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილზე საღამოობით ახლაც მოსჩანს ეს „ბრწყინვალე წითელი ვარსკვლავი". მაგრამ, ეს მნათობი ვარსკვლავი კი არ არის, არამედ ე. წ. ცთომილია ანუ პლანეტი, ე. ი. ცის ისეთი სხეული, რომელიც დედამიწის მსგავსად მზესთან არის დაკავშირებული, მზეს ურბენს გარს და მზის ოჯახის ერთერთ რიგითს წევრს წარმოადგენს. ამ ცთომილს ძველი დროიდან სახელად „მარსს" უწოდებენ. იგი მზის ოჯახში დედამიწის მეზობლად მდებარეობს. სიდიდით მარსი დაახლოებით 7-ჯერ ნაკლებია დედამიწაზე. ერთ გარეშემოქცევას მზის გარშემო იგი დაახლოებით 700 დღეღამეს ანდომებს. მაგრამ მისი გზა მზის გარშემო წრე კი არ არის, არამედ ე. წ. ელიფსია, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, „გაჭიმული" წრეა, ისევე, როგორც დედამიწის წლიური გზა. ამის გამო, დედამიწისა და მარსის სივრცეში მზის გარშემო სრბოლის დროს, ზოგჯერ მარსი მეტად უახლოვდება ჩვენს დედამიწას. განსაკუთრებით შესამჩნევი მოახლოვება მარსისა საშუალოდ 15-17 წელიწადში ერთხელ ხდება. მანძილი დედამიწიდან მარსამდე საერთოდ 370 და 55 მილიონი კილომეტრის ფარგლებში მერყეობს და მოახლოების დროს ეს მანძილი სწორედ მხოლოდ 55 მილიონი კილომეტრია.

უკანასკნელი მოახლოვება მარსისა სწორედ ამ ზაფხულს მოხდა და ამიტომ არის, რომ წელს მარსი იმდენად კაშკაშა და „დიდი ვარსკვლავის" სახით მოსჩანს, რომ იგი საერთო ყურადღებას იპყრობს.

ამჟამად მარსი უკვე გვშორდება ჩვენ. მისმა დაშორებამ ჩვენგან უკვე 80 მილიონ კილომეტრს გადააჭარბა. 1941 წლის ოქტომბერს იგი კვლავ შესამჩნევად მოგვიახლოვდება.

ცნობილია საერთო ინტერესი მარსისადმი უკანასკნელზე სიცოცხლის არსებობის თვალსაზრისით. ამ მხრივ არ უნდა ჰქონდეს ადგილი გატაცებას; მეცნიერებას არ შეუძლია დღეს გადაჭრით სთქვას ან „ჰო", ან „არა" ამის შესახებ. მაგრამ, მეცნიერებმა ზუსტად გამოარკვიეს, რომ მარსზე არის ჰაერი, თუმცა დიდად გათხელებული. მარსზე არის წყლის მარაგიც (დიდ ტელესკოპებში სჩანს მარსის ზედაპირის თოვლის თხელი ფენით დაფარვა და თოვლის დნობა). მარსზე მზის სითბოს მარაგიც არის, თუმცა ძალიან ნაკლები: მარსის ეკვატორზე შუადღისასაც ტემპერატურა ნოლის ახლოა. ამგვარად, მარსის ზედაპირზე არის იმის პირობები, რომ ამა თუ იმ სახის ცოცხალმა ორგანიზმმა იარსებოს, თუმცა ეს პირობები არც ისე ხელსაყრელი და მოხერხებულია, როგორც დედამიწაზე.

მარსს გარს ურბენს მისი ორი თანამგზავრი—მთვარე. ეს მთვარეები ძალიან პატარა სხეულებს წარმოადგენენ—15 და 20 კილომეტრის სიდიდისას დიამეტრით, მაგრამ მარსთან ახლოს იმყოფებიან, მის გარშემო მოიქცევიან და, სცვლიან რა ერთიმეორეს მალმალე, ალბათ მეტ სილამაზეს აძლევენ მარსის ღამის პეიზაჟს.

ევგ. ხარაძე.

აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორი.

სასამართლო

„მოხუცი" სპეკულანტი

სახელმწიფო ბრალმდებლის მოთხოვნით სასამართლოს მაგიდაზე სპეკულანტ მარგო მიკირტიჩის-ასულ პანოსიანის მიერ შეძენილი სასპეკულაციო საქონლის მთელი წყება დაალაგეს. რა არ მოიტანეს: ფართლეული, ზეწრები, „პაკრივალები", კრეპისა და მულინის ძაფები, ხელისა და სარეცხი საპონი, კაცის წინდები და ქალის ჩულქები, კაცისა და ქალის ტუფლები, კალოშები და სხვა მრავალი.

მე მოხუცი ვარ, ეჭვს ვერავინ მოიტანს, დროც აუარებელი მაქვს, მოდი დავიწყებ მაღაზიებიდან საქონლის გამოტანას და მის გადაყიდვას,—მოუვიდა აზრად პანოსიანს და კიდეც მიჰყო ხელი ამ საქმეს. სპეკულანტს დანაშაულზე წაასწრეს სწორედ იმ დროს, როდესაც ის კაცის უბრალო რეზინისძირიან ტუფლს სპეკულატიურ ფასში ჰყიდდა.

„მოხუცი" სპეკულანტი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

მისი საქმე, საჯარო საჩვენებელი პროცესით გაარჩია 26 კომისრის სახელობის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. შენგელიას თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის — 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურორის ამხ. ა. ცხადაძის მონაწილეობით.

მ. მ. პანოსიანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით აეყარა სამოქალაქო უფლებები.

მ. სურგულაძე

ხვამლის საიდუმლოებათა გამოსაკვლევად

ხვამლის კლდე, რომელიც რამდენიმე კილომეტრის სიგრძეზეა გადაჭიმული, მდებარეობს ლეჩხუმში (ცაგერის რაიონი). ეს კლდე სჩანს დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მაღლობი ადგილიდან და შავი ზღვის სანაპიროებიდანაც. „კომუნისტში" უკვე გამოქვეყნებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ამ კლდეში მდებარეობს ხელოვნური გამოქვაბული, რომელსაც ძველ ისტორიულ წყაროებში განძსაცავს უწოდებენ. გამოქვაბულამდე მისასვლელი, კლდეზე გამოკვეთილი საცალფეხო გზა ჟამთა ვითარებაში დანგრეულა და უკვე დიდი ხანია, რომ ეს გამოქვაბული ადამიანისათვის მიუვალად არის გადაქცეული.

იყო გამოქვაბულში შესვლის მრავალი ცდა, მაგრამ უშედეგოდ. ზემოდან თოკით კაცის ჩამოშვება შეუძლებლად აღიარეს, რადგან გამოქვაბული კლდის შეღრმავებულ ადგილასაა. ქვემოდან კი ეს გამოქვაბული ასზე მეტი მეტრის სიმაღლეზეა.

ამ რამდენიმე დღის წინათ ამ გამოქვაბულში შესასვლელად საქართველოს სიძველეთა დაცვის კომიტეტმა გაგზავნა გამოცდილი ალპინისტებისაგან შემდგარი ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ალპინიზმის ოსტატი ამხ. ა. ჯაფარიძე.

თუ ალპინისტებმა შესძლეს გამოქვაბულში შესვლა, იქ მათ შესაძლოა აღმოაჩინონ საყურადღებო ისტორიული მასალები და ნივთები.

O

მუქვენა, 20 ოქტომბერი. (ტელეგრაფით „კომუნისტის" რედაქციას). 19 ოქტომბერს ხვამლის კლდის ექსპედიციამ მიაღწია კლდის ძირს და ბანაკი გაშალა. დღეს შევუდექით კლდეზე შესასვლელი გზის მომზადებას. გამოქვაბულის ახლომახლო ადგილების დაზვერვა დამთავრებულია.

იმედი გვაქვს, გამოქვაბულში ავალთ და ხვამლის საუკუნეობრივ საიდუმლოებას გამოვარკვევთ.

ექსპედიციის წევრები მხნედ გრძნობენ თავს.

ა. ჯაფარიძე.

ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ახალი ამბები

⊙ **ელექტროქსელის გაფართოება.** თბილისის საბჭოსთან გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ელექტროქსელის გაფართოების გეგმის დამუშავება. გეგმის დამუშავება უნდა დამთავრდეს 15 ნოემბერს.

⊙ **წითელას აცრა.** თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილება ქალაქის ყველა რაიონში აწყობს წითელას ასაცრელ პუნქტებს.

⊙ **ხეხილის ნარგავების გაშენება.** ფუნიკულიორის პლატოს სამხრეთ ფერდობზე, თბილისის საბჭოს წინადადებით მომავალი ზაფხულიდან შეუდგებიან ხეხილისა და კაკლის ხეების დარგვას. სულ დარგავენ 5.000 ხეს.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ გაუქმებულია პარტბილეთი № 1503512, გაცემული ლეონ ოსიპის-ძე მანუკიანის სახელზე და საკანდიდატო ბარათი № 1261225, გაცემული არშალუის ოჰანეზის-ძე ონსუზიანის სახელზე.

საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1510727, გაცემული მიხეილ თედორეს-ძე გვარამაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომი იუწყება, რომ საკანდიდატო ბარათი № 1264191, გაცემული ამავე რაიკომის მიერ პეტრე ქარუმის-ძე ალადაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომი სთხოვს ამხ. ოლღა ეგნატეს-ასულ როგავას უახლოეს ათ დღეში გამოცხადდეს ვანის რაიკომში გადაუდებელი საკითხის გამო.

22 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. გეგეშიძის ლექცია ქართულ ენაზე. თემა — „პარტიის XIV ყრილობა დაკურსი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „სტეპან რაზინი"; **ოქტომბერი** — „ცეცხლოვანი წლები"; **დამკვრელი** — „სტეპან რაზინი"; **კომკავშირელი** — „სევანის მეთევზეები"; **სპარტაკი** — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები"; **ლუქსემბურგის სახ.** — „ცეცხლოვანი წლები"; **26 კომისრის სახ.** — „ლაშქრობა მთაში"; **კომინტერნი** — „ლაშქრობა მთაში".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

21 ოქტომბერს	22 ოქტომბერს	23 ოქტომბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 24	მუდმ. ადგ. ტალ. № 25	მუდმ. ადგ. ტალ. № 26
ჩუნარი ლონი	მეფის საცოლე	ქეთო და კოტე

დასაწყისი 8 ს. აბონემენტებზე განაცხადთა მიღება და აბონემენტების გაცემა თეატრის სალაროში. სალარო ღიაა 11—4 ს. და 5—9 ს.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონი

21 ოქტომბერს	22 ოქტომბერს	23 ოქტომბერს
მათი ამბავი	ჩზის დაბნელება საქართველოში	შური

24 ოქტომბერს დილის წარმოდგენა **უბრალო გოგონა** დასაწყ. დღის 12 ს. დასაწყისი საღ. 8 ს. სალარო ღიაა დილის 12 ს. საღ. 9 საათამდე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონი.

21/X	22/X	23/X
მუდმ. ადგ. ტალონი № 27	მუდმ. ადგ. ტალონი № 28	მუდმ ადგ. ტალონი № 29
მთაგრეხილზე	უდანაშაულო დამნაშავენი	შემოდგომის აზნაურები

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე.

ქუთაისის სახელმწიფო თეატრი
1939-40 წ. წ. სეზონი
მუდმივი ადგილის ტალონი 18, 19
22 და 23 ოქტომბერს
ბ. ვოიტეხოვის და ლ. ლენჩის
პაველ გრეკოვი
4 მოქმ. 10 სურ. თარგმანი მიხ. ქორელისა
დადგმა გრ. სულიაშვილისა, მხატვარი ირ. მდივანი, კომპოზიტორი თ ვახვახიშვილი, რეჟ. თანაშემწე დ. ცხადაძე, დირიჟორი გ. მარჯანიშვილი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე
მორიგი პრემიერა შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან" 3509

სახცირკი, ტელ. 3-11-44 დღეს
დიდი წარმოდგენა
მრავალფეროვანი პროგრამა 3 განყოფილებად საცირკო ხელოვნების საუკეთესო ოსტატები. მონაწილეობს შაფრიკი
ცხოველები, მხედები, ფრინველები. დასაწყისი 8 ს. 30 წ.
სალარო 12 ს-დან 2 ს-მდე და 5 ს-დან.

თანახმად სარეწტყავრემონტკავშირის სისტემის არტელის წევრთა საერთო კრების დადგენილებისა, ხდება არტელ „მენალეს" ლიკვიდაცია.

ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება ლიკვიდკომის სახელზე 25/X-მდე. ქ. ფოთი, ჯუღაშვილის ქუჩა № 47.

410 ლიკვიდკომი.

ყურადღება!

ა. წ. 23—24 ოქტომბერს ქალ. დონის-როსტოვში შესდგება მესამე ხუთწლედის (პირველი წლის გამოშვება) სახელმწიფო სესხის მე-3 ტირაჟი.

ტირაჟში გათამაშებული იქნება

61	მოგება	3000	მანეთიანი
305	„	1000	„
3050	„	500	„
61.000	„	200	„
545.584	„	150	„

სულ: 610.000 მოგება ჯამით 96.050.600 მან.

ხელისმომწერლებს, რომელთაც არ მიუღიათ თავისი ობლიგაციები, დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ სათანადო რაიონულ შემნახველ სალაროში ხელისმოწერის ადგილას.

ხელისმომწერლები, რომელთაც მიღებული არა აქვთ კუთვნილი ობლიგაციები, ტირაჟში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

საქ. შემსალაროების და სახკრედიტის სამმართველო.

775

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს პედიატრიული ფაკულტეტის

1) ქირურგიული პროპედევტიკის კათედრის გამგებლობაზე,
2) ბავშვთა სნეულებების პროპედევტიკის კათედრის გამგებლობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ა. წ. 1 ნოემბრამდე უნდა შეიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტების ორ-ორი ცალი:

1. კადრების აღსარიცხი შევსებული ფურცელი, 2. ავტობიოგრაფია, 3. დიპლომის ასლი, 4. სამეცნიერო ხარისხში და სამეცნიერო წოდებაში დამტკიცების დოკუმენტების ასლი, 5. პოლიტიკური და საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, 6. სამეცნიერო შრომების სია და თვით სამეცნიერო ნაშრომები.

განცხადება და დოკუმენტები წარედგინება სამედიცინო ინსტიტუტის დირექციას: თბილისი, ლუნაჩარსკის ქ. № 12.

773

ძმა არჩილი მეუღლე დაროთი, შვილებით კოტე, ვალოდია, ოლღა, ნინო, შოთა დევაძეები, რძლებით ნინო ზიბზიბაძე და ნინო ცერცვაძე, სიძე ანანია მეავანაძე მწუხარებით იუწყებიან საყვარელი **იოსებ პავლეს-ძე დევაძის** გარდაცვალებას.

ნინო, ქადა და ლალიკო დევაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი ბიძის **იოსებ პავლეს-ძე დევაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ვასილ თომას-ძე ხახანაშვილი, შვილიშვილები საურმაგ და გივი, ანა, ნატა ოქროპირიძეები იუწყებიან **ალექსანდრა ალექსანდრეს-ასულ ხახანაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/X 7 ს. გამოსვენება 22/X 4½ ს. კალინინის, 86. 3517

მშობლები ქსენია, ბესარიონ, ძმები ტარიელ, შოთა იუწყებიან დაუვიწყარ **ავთანდილ ბესარიონის-ძე წიფურიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 22/X 5 ს. გოგებაშვილის, 10. 3510

სრულიად-საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თანამშრომლები იუწყებიან საუკეთესო ამხანაგის **კუკური (ნინო) გერასიმეს-ასულ ეფრემიძე-ჯანელიძის** გარდაცვალებას. 3507

ვიქტორ შავლაძე იუწყება ძვირფასი მეგობრის **მარიამ (ცუცუ) ივანეს-ასულ ჩხენკელი-ჟანტურიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. ახალციხის შესახვ., 6. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 3519

მშობლები ალექსანდრე შარაშიძე, ლუბა ეჯიბია-შარაშიძისა იუწყებიან საყვარელი ერთადერთი შვილის **თამაზ შარაშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/X 5 ს. ვაკის სასაფლაოზე, გამოსვენება ირპინის, 6. 3520

დომენტი და ნატალია ხინთიბიძეები შვილებით მიშათი და ეთერით, სიმონ და ნათელა ფოცხვერაშვილები შვილით პაწუთი იუწყებიან საყვარელ **ლუკა ჟანუყვაძის** გარდაცვალებას. 3516

თეოლინე, ალექსანდრე, ლუბა პაჭიაშვილები, ვანიკო ბატკუაშვილი იუწყებიან **კალისტრატე (კალე) გერასიმეს-ძე ჟანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/X 7 ს. გამოსვენება 22/X 4½ ს. ქარდისუბნის, 3. 3518

და ნატაშა სანაძე მეუღლით ვანოთი, შვილებით თენგიზით და გურამით იუწყება ძვირფას **კუკური (ნინო) გერასიმეს-ასულ ეფრემიძე-ჯანელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21/X 5 ს. ნიკოლაძის I ჩიხი, 4. 3508

გამზრდელი ძალო კატო, ბიძა ლადო, ბიძაშვილი ქეთო კრაწაშვილები იუწყებიან საყვარელ **ელიკო ივანეს-ასულ კრაწაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/X 7 ს. დუშეთის, 19 (ავლაბარი). 3511

ორჯონიკიძის რაიონის გამწვანების სექტორის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან თანამშრომლებ ანა და ვალიკო ბარათელის შვილის **პატარა (ნუგო) ნუგზარის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/X 3½ ს. ვერის ჩიხი, 10. 3512

მშობლები ანეტა, ვალიკო ბარათელები, ბაბუა საშა, ბებია მარო ზანდუკელები, გიორგი, ნადია ბარათელები, ბიძები, ბიცოლები, მამიდები, დეიდები იუწყებიან **პატარა ნუგზარის** გარდაცვალებას. გამოსვენება 21/X 4½ ს. ვერის ჩიხი, 10. 3513

მშობლები ირაკლი, დარიკო, ბებია სონა, ბიძა ვახტანგ კვალიაძეები იუწყებიან, რომ 24/X 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ **გურამ ირაკლის-ძე ნასყიდაშვილის** პანაშვიდი. 3514

საქრადიოკომიტეტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ივამარ ლეჟავას **პატარა თენგიზის** გარდაცვალების გამო. 3522

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—662